როცა ხელისუფლება გაზეთებს არ კითხულობს!

③ რა ვიზეიმოთ და როდის ვიზეიმოთ? ანუ „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია!“

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 3 მაისი. 2017 წ. №90 (8227), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნინო გვენეტაძე: მოვუწოდებთ საზოგადოებას, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით გაეცნონ ჩვენს გადაწყვეტილებას!

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ განმარტება გააკეთა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც „რუსთავი-2“-ის საქმეზე იქნა გამოტანილი.

„ზედმეტად მიმაჩნია ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასება. ჩვენ გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ. ჩვენ ვართ სასამართლო ხელისუფლება, ასევე მოვუწოდებთ საზოგადოებას, კითხვებთან დაკავშირებით გაეცნონ ჩვენს გადაწყვეტილებას და იმ განჩინებას, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით არის გაკეთებული“, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

გაიგეთ რაიმე ახალი და კონკრეტული, ძვირფასო მკითხველო?! ვერც ჩვენ ვერ გავიგეთ! აი, რა პრინციპული და „გაბედულია“ ქვეყნის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. მართლაც და ვაი, ჩვენს პატრონს!!!

პრემიერი გაეროში სხვადასხვა ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლებს ესაუბრა



პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაეროში სხვადასხვა ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემები საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და გაეროსთან თანამშრომლობა, ასევე, ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები იყო.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონული ორგანიზაციების საქმიანობაში აქტიურ ჩართულობას, დიპლომატიური ურთიერთობების გაფართოებასა და პროაქტიურ საგარეო პოლიტიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

პრემიერ-მინისტრმა ელჩებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე, დეტალურად ისაუბრა მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმაზე და მათთვის გამოცდილების გაზიარების მზადყოფნა გამოთქვა.

საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. პრემიერმა დიპლომატებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებსა და ოკუპირებული რეგიონების ჩართულობის გაძლიერებისკენ მიმართულ ნაბიჯებზე.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე კახი ბექაურმა ჩაანაცვლა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრული შემადგენლობის უმრავლესობით 2020 წლის 24 იანვრამდე კომისიის თავმჯდომარედ კახი ბექაური აირჩია.

ჩვენი დროის ყვარყვარეები

ფიქრები ჩვენში გახშირებულ მეცნიერულ-ლიტერატურულ-პოლიტიკურ უხამსობებსა და სისულელეებზე

⑤-⑥

ზაზა ფირალიშვილი: უბრალო მოქალაქემ უკეთ იცის, რა სჭირდება სახელმწიფოს, ვიდრე იმ პოლიტიკოსებმა, ვისაც ჭვანეცკი ზედაპირზე მოქცეულ ნალექს ეძახის!..

④



შთამომავლობამ უნდა იცოდეს!...

როგორ მიიღო ბინა მწერალმა და რეჟისორმა გოდერძი ჩოხელმა

⑪

ქართველმა ჩუბინებმა გრან პრი მოიგეს

⑩

ვაჰ, ოთხნი, ოთხნი

ასლან აბაშიძის დაბრუნება – ისტორია არ გვიშველის

⑥

გიორგი მარგველაშვილი იან კელის შეხვდა

პრეზიდენტის სასახლეში გამართული შეხვედრისას მხარეებმა საქართველო-აშშ-ის ურთიერთობასა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული მიმართულებებით თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს.

მხარეებმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარებაც განიხილეს და გიორგი მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ამერიკის ელჩს საქართველოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის მხარდაჭერისათვის. საუბარი შეეხო ასევე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს და მათ შორის, ბრიუსელში დაგეგმილ NATO-ს სამიტს. აშშ-ის ელჩმა საქართველო-ამერიკის ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობასა და პარტნიორი ქვეყნის მხარდაჭერაზე ისაუბრა.

საქართველოს პარლამენტი არის ერთ-ერთი საუკეთესო ევროპულ ქვეყნებს შორის!

საქართველოს პარლამენტი არის ერთ-ერთი საუკეთესო ევროპულ ქვეყნებს შორის ღია მმართველობის საბჭოს სტანდარტებით, — განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ. მისი განმარტებით, ღია მმართველობის საბჭო ეს არის პარლამენტის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი, რომ ის იყოს სახალხო და წარმომადგენლობითი, გახსნილი და გამჭვირვალე.

ეკა ბესელია აცხადებს, რომ მოსახლეობისთვის ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკა 2013 წლიდან დაიწყო.

„ეს კარგი პრაქტიკა უკვე ტრანსფორმირდა იმაში, რომ საქართველოს პარლამენტი არის ერთ-ერთი საუკეთესო ევროპულ ქვეყნებს შორის ღია მმართველობის საბჭოს სტანდარტებით. ახლა დამტკიცდება გეგმა, რომელიც იქნება ყველა მთავარი დემოკრატიული კომპონენტის შეცველი და საბჭო იმუშავებს სწორედ ახალი სტანდარტებით“, — განაცხადა ბესელიამ.

შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდებს

როგორც „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი აცხადებს, თუ გადამწყვეტი ნაბიჯები არ გადაიდგა, ქართველ ხალხს პრეზიდენტის არჩევის უფლება წაერთმევა. ნათელაშვილის განცხადებით, ამ სიტუაციაში პრეზიდენტის გადადგომა ერთადერთი გამოსავალია.

„ეს ქვეყანა ჩავარდნილია უმძიმეს სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და კონსტიტუციურ კრიზისში. ოლიგარქმა, რომელმაც მანამდე არჩევნების საყოველთაო გაყალბებით მოახდინა ძალაუფლების სრული უზურპაცია, ამჯერად გადაწყვიტა ჩვენს ხალხს სამუდამოდ წაართვას პრეზიდენტის არჩევის უფლება და იგი ამ გეგმას შეასრულებს, თუ არ გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები. პირველ რიგში, მივუწოდებ საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს, ბატონ მარგველაშვილს, გამოაცხადოს გადადგომა, რაც გამოიწვევს ორ თვეში ახალ საპრეზიდენტო სახალხო არჩევნებს. კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილი გახლავთ, რომ 2018 წელს ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე, შედის ძალაში ხალხისთვის პრეზიდენტის არჩევის უფლების წართმევა“, — განაცხადა ნათელაშვილმა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველოს მოქალაქეობა არ შეწყდეს

უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში შესაძლოა, საქართველოსი აღარ დაიკარგოს. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში ინიცირებულია დეპუტატ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივა. კონსტიტუციის ახალ ვარიანტში შესაძლოა, აღარ იყოს მუხლი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს მოქალაქე ვერ იქნება პარალელურად სხვა ქვეყნის მოქალაქე.

„ახალ კონსტიტუციაში განისაზღვრა შემდეგი რამ: თუკი საქართველოს მოქალაქე უცხო ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს, ეს ავტომატურად აღარ გამოიწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას. არის ჩანაწერი, რომ დანარჩენი რეგულაციები განისაზღვრება კანონით. კანონი უკვე დაადგენს, რა პროცედურა იქნება გასავლელი, რათა ეს სტატუსკვო შენარჩუნდეს. რაღაც გარკვეული რეგულაცია იქნება. სტატუსკვო იქნება პრინციპულად მნიშვნელოვანი და შემდგომში რეგულაცია გაკეთდება, რომ სისტემაში მოვიყვანოთ ეს წესი“, — განუცხადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით მათიკაშვილმა საზოგადოებრივ მაუწყებელს.

დავით დვალი: „მწვანე შუქი ჩვენც აგვენთებოდა“

ჯარჯი აძიმიძე და დავით დვალი რუსთავი 2-ის

საქმეზე პროკურატურის პასუხს უკვე მე-5 წელია, ელიან. 2012 წელს აქიმიძემ და დვალმა პროკურატურას მიმართეს, რათა დაედგინათ, თუ რა მოხდა 2004 წელს და „რუსთავი 2“-ის გასხვისების საქმეში იყო თუ არა დანაშაულის ნიშნები. დავით დვალის განცხადებით, პროკურატურა შესაძლოა, განზრახ აჭინურებდეს მათთვის პასუხის გაცემას.

„მე განცდა მაქვს, რომ ამ წუთას არ იციან რა პასუხი გაგვცენ. გარკვეულ ეტაპზე მე და ჯარჯი გვცნეს დაზარალებულად. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ქაღალდის ხელზე ქონა, ეს საშულებას მოგვცემს გავეცნოთ საქმეს. მე არ გამიკვირდება, რომ მე და ჯარჯის „ჰალუცინაციური ხილვა“ გვქონდა და არ დაუძახიათ ჩვენთვის. ჩვენ გვეგონა, რომ ამ ქაღალდის ასლს მაინც წამოვიღებდით, მაგრამ ასე არ მოხდა.

ამ პროცესში, რადგან კონკრეტულად მოდავეა ქიბარ ხალვაში, მისი გადასაწყვეტია რას შემოგვთავაზებთ, ჩემთვის გაუგებარია რამ გააღიზიანა. ჩვენ მას პატივისცემით ვიხსენიებთ, ამ 5 წლის მანძილზე ერთადერთი აღმოჩნდა ქიბარ ხალვაში, ვინც ცნობს ჩვენს როლს ამ საქმეში. მაინცდამაინც რომლიმე პოლიტიკური პარტიის ზურგით უნდა იყო გამაგრებული, რომ შენი საქმე წავიდეს წინ? მე განცდა მაქვს, რომ ხელოვნურად ხდება ეს. ჩვენ რომ გვქონოდა ზურგი და ხელისუფლება ყოფილიყო ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი, სავარაუდოდ, მწვანე შუქი ჩვენც აგვენთებოდა“, — აცხადებს დვალი. მისი თქმით, ამ საქმეს ხანდაზმულობის ვადა 2019 წელს ეწურება. დვალი ვარაუდობს, რომ პროკურატურა განზრახ აჭიანურებს საქმეს.

კონსერვატორია 100 წლის იუბილეს რეაბილიტირებული შენობით შეხვდა!

ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში თბილისის უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მუსიკალური ფესტივალი გაიხსნა. კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ ღონისძიებას თბილისის მერი დავით ნარმანია, მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი, კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ია მაქაცარია და თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი ბაიდარაშვილი დაესწრნენ.

საიუბილეო ღონისძიება კონსერვატორიის რეაბილიტირებულ ისტორიულ შენობაში ჩატარდა. გრიბოედოვის ქუჩა №8/10-ში მდებარე შენობის რეაბილიტაცია თბილისის მერიის დავალებით თბილისის განვითარების ფონდმა განახორციელა.

აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში სრულად აღდგა ისტორიული შენობის ფასადზე არსებული ნაძერწი დეტალები და ქანდაკებები. რესტავრაცია ჩაუტარდა დაზიანებულ აივნებს და ძველებურ ხის კარებს. სარესტავრაციო სამუშაოები ძეგლებზე მუშაობის წესების სრული დაცვით ჩატარდა.

კონსერვატორიის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია თბილისის განვითარების ფონდმა 2017 წლის მარტში დაიწყო და აპრილის ბოლოს დაასრულა.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს წარმოადგენს და არქიტექტორ ალექსანდრე შიმკევიჩის პროექტით 1901-04 წლებშია აგებული. ოფიციალურად იგი 1917 წლის 1 მაისს გაიხსნა, 1924 წლიდან მას სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა. 1947 წლიდან თბილისის კონსერვატორია ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის სახელს ატარებს.

გლდანელებს ახალი საბავშვო ბაღი ექნებათ

სოფელ **გლდანში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო. შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასთან ერთად ჩადო.**

ახალი საბავშვო ბაღი 7-ჯგუფიანი იქნება და იქ სკოლამდელი განათლების მიღებას 250-მდე აღსაზრდელი შეძლებს. დასაქმდება 45 ადამიანი.

„ეს არის ახალი საბავშვო ბაღების პროგრამის ფარგლებში, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საბავშვო ბაღი, რადგან სოფელ გლდანში პრაქტიკულად, არასდროს არსებობდა ასეთი საბავშვო ბაღი. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აგვეშენებინა ახალი, თანამედროვე შენობა, რომელიც იქნება კეთილმოწყობილი ეზოთი და ყველანაირი პირობებით. მშენებლობა ერთი წლის თავზე დასრულდება და ადგილობრივ მოსახლეობას ახალ საბავშვო ბაღს ჩავაბარებთ“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

მერიის ინფორმაციით, თბილისში ამჟამად 10 საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, მათგან ხუთი სექტემბერში გაიხსნება. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო წელს კიდევ 8 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას დაიწყებს.

აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვაა მოსალოდნელი

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 3-დან 8 მაისამდე საქართველოში მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა და ელჭექი, ზოგან ძლიერი.

ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში შესაძლებელია სეტყვა და ქარის შკვალური გაძლიერება: 3-4 მაისს ჰაერის ტემპერატურა დაიკლებს და +19, +24 გრადუსი იქნება. 5-6 მაისს +23, +28 გრადუსამდე დათბება. 7 მაისს ისევ შედარებით გრილი ამინდია მოსალოდნელი.

გამოვლინდა საგადასახადო სამართალდარღვევის 805 ფაქტი

24-30 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 805 ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 7,945 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 72 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 60 ფაქტი; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 673 შემთხვევა.

რა ვიზეიმოთ და როდის ვიზეიმოთ?, ანუ „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია!“

ახლახან კიდევ ერთი ღაღადება გამოქვეყნდა უდაბნოსადმი (ანუ — მთავრობისადმი): 1. ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი შესრულდა; 2. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 850 წელიწადია!.. („საქართველოს რესპუბლიკა“, 28 აპრილი, 2017)

გასული წელი სწორედ ამ ღაღადებაში დაილია; ხელისუფლების დასამუნათებლად არაერთი ლოკალური ღონისძიებაც გაიმართა - სასკოლო კითხვა, საღამო თუ კონფერენცია... ერთ-ერთი წარმომადგენლობითი სამეცნიერო ღონისძიება გახლდათ გენიალური მწერლის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია: „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში — თანამედროვე ინტერპრეტაციები (ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ **შექმნიდან 850-ე** საიუბილეო წლისთავს), 4-5 ნოემბერი, 2016 წ.

თავი დავანებოთ თვეების განსხვავებას და გასულ წელს გამოვაკლოთ 850 წელი — მივიღებთ 1166 წელს.

რა გამოდის?

რუსთაველს თავისი გენიალური ნაწარმოები შეუქმნია 1166 წელს, მაშინ, როდესაც თამარი 5-6 წლის გახლდათ (დაიბადა — 1160 წ.); ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ კოლოსალური ცოდნის ფილოსოფოსი-პოეტი შემოქმედებითს მწვერვალზე მინიმუმ 25 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო, იგი უნდა დაბადებულიყო არაუგვიანეს 1135 წლისა.

რამდენად შეესაბამება ეს კლასიკურ რუსთველოლოგიურ მონაცემებს, თავად განსაჯეთ!

რაც მთავარია:

1966 წელი მართლაც ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ შეუდარებლად მასშტაბური (საერთაშორისო) ხასიათი მიიღო რუსთაველის იუბილემ — რა გამოცემები, რა თარგმანები, რა ექსპედიციები, რა ღონისძიებები, რა პრემიები!..

ვისაც ნათქვამის გამო მცირედი ეჭვიც კი გაჰკრავს, შეუძლია, ჩაიხედოს „რუსთაველის კომიტეტის“ მიერ მომზადებულ 1966 წლის ბიბლიოგრაფიაში, რომელმაც ერთი სოლიდური ტომი შეადგინა და რომელიც 1300-მდე პუბლიკაციას მოიცავს.

და ეს იუბილე მიეძღვნა დიდი პოეტის დაბადებიდან 800 წლისთავს, ანუ **1166 წელი მისი დაბადების** (სავარაუდო) **წელი** ყოფილა!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოეტი თამარზე 6 წლით უმცროსი გამოდის; შესაბამისად, პოემაც მას შემდეგ დაუწერია, რაც ძირითადი ისტორიული პერიპეტიები უკვე ჩავლილა, ანუ მე-12 ს-ის 90-იანი წლების მიჯნაზე (ან — უფრო გვიან).

მაგრამ მთავარი გაუგებრობა იწყება 1937 წლიდან, როდესაც რუსთაველის იუბილე პირველად აღინიშნა — ესეც, უმძიმესი ეპოქის პირობაზე, საკმაოდ პომპეზურად, მაგრამ მასშტაბით, ცხადია, ვერც მიუახლოვდებოდა 1966 წლისას. გ. ქიქოძე „თანამედროვის ჩანაწერებში“ აღნიშნავს: „1937 წელს... ბერიას თაოსნობით და სტალინის დასტურით **შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი** მოეწყო თბილისში“.

დიახ, საქ. კპ(ბ) ცეკას 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილებაში ეწერა: „1937 წლის ოქტომბერს მთელს საქართველოში მოეწყოს საყოველთაო სახალხო ზეიმი **შოთა რუსთაველის 750 წლისთავის** აღსანიშნავად. 750 წელი შესრულდა, **რაც დაიბადა უდიდესი** პოეტი...“

თუ 1937 წელს გამოვაკლებთ 750-ს, მივიღებთ **1187 წელს**!..

1937 წლის საიუბილეოდ შეიქმნა საქ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი: იუსტ. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, გ. კიკნაძე, კ. ჩარკვიანი.

ცხადია, ზემომითითებული თარიღი არ ასახავს კ. კეკელიძის აზრს; არც პ. ინგოროყვას შეხედულებას, რომლის მიხედვითაც პოეტი 1245 წელს, კოხტასთავის შეთქმულების დროსაც ცოცხალია და იგი — 80 წელს მიტანებული მოხუცი — ახალგაზრდა ცოტნე დადიანთან ერთად თაფლწასმული იტანჯება მონღოლთა ხელში!..

შემდგომ რუსთველოლოგიაში 1937 წლის იუბილე სახელდებოდა როგორც პოემის დაწერიდან 750 წლისთავი; როგორც ჩანს, ეს ინტერპრეტაცია უკავშირდება სერიოზულ უხერხულობას თარიღების ურთიერთმიმართების გამო. ავტორიტეტების დამოწმებას, ეკონომიის მიზნით, თავი რომ ავარიდოთ, ამ მონაცემებს მიწყივმაძიებელი პაატა ნაცვლიშვილიც დაუეჭვებია: „1966 წელს ფართოდ აღინიშნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. თუ ამ 800 წლისთავს 1937-ში აღნიშნულ ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ რუსთაველს უკვდავი პოემა 21 წლისას დაუწერია“.

ხომ არ დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ შევჯერდეთ, **როდის აღვნიშნოთ გენიალური ქართველი პოეტის დაბადებისა და მისი უკვდავი შედევრის შექმნის თარიღი?!**

P. S. ყოველივე აღნიშნული, ცხადია, ვერ მოგვწმენდს იმ სირცხვილს, რაც შარშანდელმა მთავრობამ გვაწვნევინა ჩვენი დიდი ისტორიისა და მისი „მზეებრ მნათი“ ვარსკვლავის — რუსთაველის წინაშე.

ავთანდილ არაბული,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

◎ საგანგაშო სტატისტიკა

მართლა წუთისა ყოფილხარ, ქართველთა წუთისოფელო!

გასულ წელს საქართველო 100 000-მდე მოქალაქემ დატოვა

2016 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 98,3 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 2,4 %-ით მეტია. აღნიშნულ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

„იმავე პერიოდში იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 2,5%-ით შემცირდა და 90,2 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, 2016 წელს მიგრაციული სალდოს (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი — 8,1 ათასი კაცის დონეზე აღირიცხა“, — ნათქვამია საქსტატის მონაცემებში.

რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობას, საქსტატისვე ცნობით, **2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ — 3 718,2 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0,1%-ით ნაკლებია. მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე გავლენა 2016 წელს ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა და გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ მოახდინა.**

სტატისტიკის თანახმად, 57,2% (2 128,6 კაცი) ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში, ხოლო 42,8% (1 589,6 კაცი) — სასოფლო დასახლებაში.

საქართველოს მოსახლეობის 47,9% მამაკაცია, ხოლო 52,1% ქალი, თუმცა გასულ წელთან შედარებით მამაკაცების წილი 0,1%-ით გაიზარდა, ქალებისა კი 0,2%-ით შემცირდა.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის (0-14 ასაკობრივი ჯგუფი) წილმა მთელ მოსახლეობაში 19,5% შეადგინა, ხოლო შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილმა — 66,1%. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 14,5%.

0-14 წლის მამაკაცების წილი მთლიან მოსახლეობაში ჭარბობს ქალებისას, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

„2016 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 72,7 წელს, მათ შორის მამაკაცებისათვის 68,3 წელს, ხოლო ქალებისათვის — 77,2 წელს“, — განმარტავენ საქსტატში.



მინისტრი პანკისის ხეობას სტუმრობდა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი პანკისის ხეობას სტუმრობდა, სადაც სოფელ დუისში, ხეობის ახლაგაზრდებს შეხვდა და სამინისტროში მიმდინარე პროექტებზე ესაუბრა. პანკისელი ახალგაზრდები ექსპრესლაბორატორიის სამუშაო პროცესსაც გაეცნენ. **სააგენტოს სპეციალისტებმა ადგილზე ჩაატარეს ჰაერის დაბინძურების კვლევები, ელ. მაგნიტური გამოსხივების და ხმაურის გაზომვები. მიღებული შედეგების მიხედვით სპეციალისტებმა ზღვრულად დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობა განსაზღვრეს.**

სოფელ დუისში გამვწანების აქციაც გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა გიგლა აგულაშვილმა მხარის გუბერნატორთან ირაკლი ქადაგიშვილთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მიიღო. აქციის ფარგლებში, 300-მდე წიწვოვანი (შავი ფიჭვი) და ფოთლოვანი სახეობის ნერგები დაირგო.

ცვლილებებს პროექტში კვლავ ცვლილებები სჭირდებაო

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში დამატებითი ცვლილებების შეტანას პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი არ გამორიცხავს. მისი თქმით, მმართველ გუნდს წინ აქვს საერთო-სახალხო განხილვები, ასევე პარლამენტში საკომიტეტო მოსმენები, რომელთა დროსაც, შესაძლებელია, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში დამატებითი ცვლილებები განხორციელდეს.

„ვაპირებთ მოვისმინოთ მოსახლეობის მოსაზრებები ისევე როგორც აქტიური განხილვები გვქონდეს საპარლამენტო მუშაობის პროცესში. ასე, რომ კონსტიტუციის პროექტში გარკვეული ცვლილებები მოხდება, თუმცა რას შეეხება ზუსტად ეს ცვლილებები, ახლა ვერ გეტყვით“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა ასევე აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე ბევრი პოლიტიკური პირის პოლიტიკური ინტერესი იკვეთება.

ზაზა ფირალიშვილი: უბრალო მოქალაქემ უკეთ იცის, რა სჭირდება სახელმწიფოს, ვიდრე იმ პოლიტიკოსებმა, ვისაც ჟვანეცკი ზედაპირზე მოქცეულ ნალექს ეძახის!..

ზაზა ფირალიშვილის განცხადებით, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის განცხადებიდან ჩანს, რომ მის ავტორს სრულიადაც არ სურს, ერთი მორიგი პოლიტიკური საპნის ბუშტის შემქმნელად მოგვევლინოს. როგორც ფილოსოფოსი ამბობს, იგი არ ჩქარობს პირველი ნაბიჯების გადადგმას და არც ყალბი ხალხურობის ნიღაბს იკეთებს.

ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი დღეს ჩვენი სტუმარია.



— პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, თვითმმართველობის არჩევნების ფონზე ახალი პარტია შეიქმნება. ეს იქნება ცენტრისტული პარტია, რომლის მთავარი ამოცანა იქნება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება და კოალიციური მთავრობის ფორმირება. უსუფაშვილის თქმით, მას ჰყავს გუნდი, იგი ჯერ ვერ აკომპლექტებს პარტიას. რას ფიქრობთ, რატომ ვერ აკომპლექტებს გუნდს უსუფაშვილი? რა შანსები აქვს მას და საერთოდ, რამდენად მარტივია დღეს ქართულ პოლიტიკაში პარტიის დაკომპლექტება?

— ნამდვილად არ ვიცი, როგორ მიმდინარეობს ახალი პარტიის შექმნის პროცესი. ერთი მხრივ, დღევანდელ საქართველოში პარტიის შექმნა არ არის რთული. ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე ასეული ადამიანი, რომელიც მიიჩნევს, რომ მას სათანადოდ არ აფასებენ, რომ მას ქვეყნიერების გადაკეთების რეცეპტი უპყრია ხელთ, მისი ღირსებებიც ვერ დააფასეს ვერც ნაციონალებმა და ვერც ოცნებამ და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობ იმ ადამიანებზე, ვინც იოლად დაიჯერებს ხმებს, რომ უსუფაშვილის პოლიტიკური გააქტიურების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და მასთან ფინანსური ხეირის იმედით მივა.

ჩვენი პოლიტიკური მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი ხომ სწორედ ესაა: ივანიშვილი წვრილმანებამდე აკონტროლებს ყველაფერს — მასთან დაპირისპირებასაც კი. ასე იყო შევარდნაძის დროსაც, სააკაშვილის ეპოქაშიც და ასეა დღესაც. სხვა თემაა, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს ეს მითოსი ჩვენს პოლიტიკურ პროცესებზე და როგორ შეეწირებიან ხოლმე თავად ხელისუფალნი მას. გამოჩნდებიან ისეთი ბიზნესმენებიც, ვინც, ისევ და ისევ, ამ მითის იმედით ფულსაც გაიმეტებენ.

მოკლედ, შეიძლება განმეორდეს ყველაფერი ის, რაც აქამდეც არაერთხელ მომხდარა და ჩვენს თვალწინ ზარ-ზეიმით გაჩენილა ათასგვარი პოლიტიკური პარტია და სულ მალე 200 თუ 300 მკვდრადშობილს მიერთებია. ის, რაც ბატონმა დავითმა განაცხადა, ყველა ამ ფაქტორის გამორიცხვას და საკმაოდ რთული გზის დაწყებას ნიშნავს. ამდენად, ნამდვილად არ გამიკვირდება, თუ პარტიის შექმნა რთული პროცესი აღმოჩნდება.

განცხადებიდან ჩანს, რომ მის ავტორს სრულიადაც არ სურს, ერთი მორიგი პოლიტიკური საპნის ბუშტის შემქმნელად მოგვევლინოს. იგი არ ჩქარობს პირველი ნაბიჯების გადადგმას და არც ყალბი ხალხურობის ნიღაბს იკეთებს. ამიტომაც, ასე ვიტყვი: ნამდვილად არ ვიცი, როგორი პოლიტიკური მომავალი ექნება ამ წამოწყებას. ვფიქრობ, რომ არც თავად ბატონი დავითი ელის, რომ მყისიერი წარმატების იმავე გზას გაივლის, რომელიც თავის დროზე „მრგვალმა მაგიდამ“, „მოქალაქეთა კავშირმა“, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თუ „ქართულმა ოცნებამ“ განვლეს. მაგრამ თავისთავად ის, რომ გაიჟღერა ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელმა რამდენიმე იდეამ, უკვე პოლიტიკური ცხოვრების პოზიტიური განვითარების ნიშანია. პოლიტიკური გამოცდილება ხომ მხოლოდ კულუარული ბრძოლების გამოცდილება არ არის. ის, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იდეების დაბადებისა და განხორციელების გზაცაა.

— შეგიძლიათ დაასახელოთ ეს იდეები?

— მე მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება შემიძლია მოგახსენოთ. უპირველეს ყოვლისა, ესაა საჯაროდ გაცხადებული აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის ამ საფეხურზე, როდესაც მის არსებობას მუდმივად ემუქრება საფრთხე, ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ სახელმწიფო ათასგვარი პოლიტიკანური თუ სნობური იდეოლოგიური თამაშების მსხვერპლად ვაქციოთ. ჩემს ახალგაზრდობაში ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე იმაზე, თუ რა როლი შეასრულა ამგვარმა იდეოლოგიურმა თამაშობანამ და პოლიტიკურმა თავქარიანობამ პირველი ქართული რესპუბლიკის ბედში. მსგავსი რამისაგან ღმერთმა დაგვიფაროს.

მაგრამ, როდესაც თვალს ვადევნებთ, თუ როგორ ეთამაშებიან რელიგიას პოლიტიკური პიარის მიზნებით გამოგონილი ახალი აღმსარებლობით, როგორ იოლად თამაშობენ ჯარის იდეით მაშინ, როდესაც სულ მცირე, ერთი კრიტიკული რეგიონი გვაქვს და ხვალ როგორ შეიცვლება ვითარება ჩვენს რეგიონში, კაცმა არ იცის, როდესაც ვიცით, თუ როგორ ფიქრობენ ჩვენი ნაციონალ-მისტიკოსები ქართული ეკონომიკის შექმნას პურისა და ღვინის წარმოებით, ან, კიდევ უკეთესი, წყლის ექსპორტით; როგორ აიგივებენ ჩვენს დაახლოებას დასავლეთთან ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან; როდესაც ვუცქერთ, ჩვენი ლიბერალები როგორ ცდილობენ, ლიბერალიზმზე თავის ზერელე წარმოდგენები მოგვახვიონ თავს და რა იოლად აღმოჩნდნენ პოლიტკორექტულობის დოქტრინების ტყვეობაში.

როდესაც წლების განმავლობაში ვადევნებთ თვალს, ეს ორი ყაიდის ექსტრემიზმი — კონსერვატული და ლიბერალური — როგორ შობს ერთმანეთს და ადგილს აღარ უტოვებენ ვინმე სხვას; როდესაც ვუცქერთ, ჩვენი მოხელეებისათვის უკვე ათწლეულებია როგორ იძცა სახელმწიფო ნეპოტიზმის, ფუფუნებისა და ვულგარული ძღომის საშუალებად და „პოლიტიკური მიზანშეწონილობის“ წყალობით როგორი წარმატებულები არიან მორალური თუ სამართლებრივი დანაშაულის ტვირთის მატარებელი ადამიანები, არ შეიძლება, ეჭვი არ გაგიჩნდეს, რომ ყოველივე ამან ქართული სახელმწიფოს მიმართ უიმედობა შეიძლება გააჩინოს რიგით მოქალაქეში.

პუტინისტებიც ხომ აქ არიან ჩასაფრებულები თავისი რბილი ძალით, მეთოდურად და თანამიმდევრულად ცდილობენ ჩვენს დარწმუნებას, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობა ისტორიული ქიმერაა, რომ ამერიკის „მონობა“ კიდევ უფრო მძიმეა, ვიდრე რუსული. ისინი მეთოდურად ცდილობენ ჩვენი ცხოვრების სეგმენტების დაკავებას: ეკონომიკისა (გაიხსენეთ დოქტრინა: „პოლიტიკა და ეკონომიკა სხვადასხვა სფეროებია და ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ“), კულტურისა („ნუ ავურევთ პოლიტიკასა და ხელოვნებას ერთმანეთში“) და ასე შემდეგ. თითქოს ათასობით დახოცილი და ათიათასობით დევნილი, განადგურებული სოფლები და შეურაცხყოფილი ადამიანები „სულ რაღაც“ პოლიტიკა იყოს.

ასეთმა უზნეო აბსურდმა მხოლოდ იმ საზოგადოებაში შეიძლება მოძებნოს ადგილი, სადაც უკვე ნახსენები თავქარიანობა და ისტორიული გზების გაურკვევლობა ბატონობს. ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის, რაც ებრაელებმა თავისი დევნილობის პირველივე დღეებიდან იცოდნენ და ამ ერთი ციდა ხალხმა სწორედ ასე შეძლო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს შექმნა.

რა ხდება? ვიღაც იტყვის, რომ ისტორიულმა გამოცდილებამ ვერაფერი გვასწავლა და არ იქნება მართალი. ჩვენმა უბრალო მოქალაქემ გაცილებით უკეთესად იცის, რა სჭირდება მის სახელმწიფოს, ვიდრე იმ პოლიტიკოსებმა, ვისაც მიხაილ ჟვანეცკი ზედაპირზე მოქცეულ ნალექს ეძახის. უბრალოდ, პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი ვერ ხვდება, თუ რა მნიშვნელოვანი ძვრებია ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში და ისევ 90-იანი წლების სტერეოტიპებშია ჩაკეტილი.

ნებისმიერი იდეა თუ იდეოლოგია განვითარების ჩვენს საფეხურზე ბოროტებად შეიძლება იქცეს, თუ ის საფუძველშივე დაუპირისპირდება სახელმწიფოებრიობის იდეას, თუ ის არ ამოდის პიროვნებისა და სახელმწიფოს ინტერესთა ბალანსის პრინციპიდან. დემოკრატიაც, ადამიანის თავისუფლების იდეაც, ეროვნული იდეაც, რელიგიური რწმენაც, მიუხედავად მათი კეთილშობილებისა, შეიძლება, სახელმწიფოებრივად საშიშ იდეებად იქცნენ, თუ მათი მქადაგებლები და განმახორციელებლები სახელმწიფოსა და პიროვნების ინტერესთა ბალანსის პრინციპს დაარღვევენ და თავს იოლად მისცემენ ჩვენთვის ესოდენ საყვარელ ზერელე იდეოლოგიურ თამაშებს. ამიტომაც არის ჩვენში ასეთი აუცილებელი ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის დიალოგი და არა დაუძინებელი მტრობა, რომელიც დღეს გაბატონებულა ჩვენს მსოფლმხედველობრივ სივრცეში.

— რა იქნება მთავარი წინააღმდეგობა?

— ასეთი წინააღმდეგობა რამდენიმე შეიძლება დავასახელოთ. პირველ რიგში ის, რომ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს არ აწყობს ისეთი გამოცდილი მოთამაშის გამოჩენა, რომლის მიმართაც საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილში საგრძნობი სიმპათია არსებობს. ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ ამომრჩეველმა დაივიწყოს გაწონასწორებული და კონსტრუქციული პარლამენტის თავმჯდომარე და ახსოვდეთ იმ პარტიის წევრი, რომლის წარმომადგენლებიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ადამიანის უფლებების სფეროდ მიიჩნევენ — მიუხედავად იმისა, რომ უსუფაშვილი რამდენჯერმე საჯაროდ დისტანცირდა ამ იდეისაგან.

არ დაგვავიწყდეს პუტინისტური „რბილი ძალის“ მესვეურებიც, რომლებისთვისაც პროდასავლურ ფლანგზე ამ მოთამაშის გამოჩენა ძალზე არასასურველია, რადგან ეს ვნებს მათ პროპაგანდისტულ დოქტრინას, თითქოს დასავლურ კურსს საქართველოში მხოლოდ ნაციონალები და მათთან ასოცირებულები უჭერენ მხარს.

მოკლედ, ბატონი დავითი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვან ნერვს შეეხო და ეს ჩემთვის მისი მომავალი პოლიტიკური პარტიის ბედზე მნიშვნელოვანი რამ არის.

კიდევ ერთხელ ზოგადად ვიტყვი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ეტაპზე რაიმეს წინასწარ განსაზღვრა ძნელია. ამას ვერც ვერავითარი სოციოლოგია ვერ გვიკარნახებს. ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სოციოლოგებმა, ალბათ, სერიოზულად უნდა გადახედონ თავის მეთოდებს. ტრამპისთვის ყველაზე ხელსაყრელ სოციოლოგიურ შედეგებშიც კი, იგი თავის კონკურენტს ჩამორჩებოდა. როგორც ჩანს, მკვლევარებმა მხედველობაში არ ან ვერ მიიღეს მხედველობაში ის პროცესები, რომლებიც სააშკარაოდ არ ჩანდა ძველი პარადიგმებით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების ზედაპირზე.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

გარემოვაჭრეებს „ვარკეთილის“ მეტროსთანაც მიადგნენ...

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარედ განთავსებული გარევაჭრობისთვის განკუთვნილი უნებართვო კონსტრუქციები გაიტანეს. აღნიშნული ტერიტორია „თბილსერვის ჯგუფმა“ დაასუფთავა.

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეები რამდენჯერმე გააფრთხილეს, შეეწყვიტათ უნებართვო სამეწარმეო საქმიანობა.

თბილისის მერის მოადგილის გიგა ნიკოლეიშვილის განცხადებით, გარემოვაჭრეებს ბაზრობებზე საქმიანობის გაგრძელება ექვსი თვის განმავლობაში უსასყიდლოდ შეუძლიათ.

„მათ ვთავაზობთ ალტერნატიულ ფართებს „ვარკეთილის“ ტერიტორიაზე განთავსებულ ბაზრობებზე იგივე პირობებით, რომ ექვსი თვის განმავლობაში უსასყიდლოდ გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას“, — განაცხადა გიგა ნიკოლეიშვილმა.

დედაქალაქის მთავრობასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ის ბაზრობები და ორგანიზებული სავაჭრო სივრცეები, რომლებიც ერთიანდებიან ბაზრობების ასოციაციაში, გარემოვაჭრეებს ალტერნატიულ სავაჭრო ადგილებს სთავაზობენ.

იმ ტერიტორიებზე მომუშავე გარემოვაჭრეების ნაწილი, სადაც გარევაჭრობა დარეგულირდა, სამეწარმეო საქმიანობას უკვე სავაჭრო სივრცეებსა და ბაზრობებზე აგრძელებს. გარემოვაჭრეებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია სადგურის მოედანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, „დინამოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მეტროსადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველი დეზერტირების ბაზრის ადგილას აშენებული ახალი ბაზრის ტერიტორიასა და ისნისა და სამგორის ბაზრობებზე შეუძლიათ.

არა არს რა დაფარული!..

ფიქრები ჩვენში გახშირებულ მეცნიერულ-ლიტერატურულ-პოლიტიკურ უხამსობებსა და სისულელეებზე

ამ ბოლო მეოთხედ საუკუნეში, ნამეტნავად გახშირდა ჩვენში უხამსობები და სისულელეები როგორც მეცნიერებაში, ისე ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

პოლიტიკაში? პოლიტიკაში ხომ, ნუღარ იტყვი...

ჯერ იყო და ე.წ. ცნობადმა სახემ, უვიცებში ცნობილმა „ინტელექტუალმა“ სატელევიზიო ინტერვიუში საქვეყნოდ განაცხადა: ილია ჭავჭავაძე? ასეთ მწერალს (პოეტს) მე არ ვიცნობო. არ იცნობ და ამ ჩემს ფეხებს თუ არ იცნობ, მოგკვლიათ პატრონი შენცა და ტელეეკრანზე შენს გამომჭენებელსაც! – გავიფიქრე და ერთ ყურში შესული მეორე ყურიდან გავუშვი. მერე ის იყო, ნაგვის ყუთებზე მიწერილი, ნაგვის შესაბამისი „ლექსების“ ავტორმა ასევე საჯაროდ (ტელევიზიით, რა თქმა უნდა!) განაცხადა: აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა სოფლელი გოიმები იყვნენო. იქვე, საიდანღაც ერთი ახლად ბუნტყლაჩინჩლული მწერელი (დიახ, მწერელი!) გამოტყვრა და წმინდანად შერაცხილ თამარ მეფეზე ისეთი მკრეხელობები მობოდა, რომ ერთმა ვაჟკაცმა, სრულიად საქართველოს საყვარელმა კაცმა მთელი ჩვენი აღშფოთება გამოხატა და ქვეყნის გასაგონად კინაღამ დედისა და მამის სული აგინა იმ ე.წ. მწერალს.

ეჭვი გაგვიჩნდა, ქართველთა სათაყვანებელ სახელებზე დაგეგმილი, სისტემური შეტევა ხომ არ ხორციელდებაო. ეს ეჭვი, მე, პირადად, მას შემდეგ განმიმტკიცდა საბოლოოდ, როდესაც ტელეეკრანიდან ერთმა, იმ დროს მართლაც პატივცემულმა და დაფასებულმა მწერალმა ლექციების ციკლი მიუძღვნა იმის მტკიცებას, რომ ალექსანდრე ყაზბეგი კი არ არის ავტორი მისი გვარით ცნობილი ნაწარმოებებისა, არამედ მისი ბიძაშვილი თუ მამიდაშვილი, რომელსაც მოხერხებულად აწაპნა ახლო ნათესავმა...

სრულიად აშკარა გახდა ეროვნული გმირების, ტრადიციების, ხელოვნების, მწერლობის გაბიაბრუებისა და აბუჩად აგდების ტენდენცია. ამ საქმეში სულ უფრო მეტი ადამიანი ჩაერთო. მართალია, ეს ადამიანები, როგორც წესი, ფრიად უნიჭოები არიან და ზნეობაც დაკარგული აქვთ, მაგრამ ჩვენი ტელევიზიების მეცადინეობით ცნობად სახეებად იქცნენ. ხომ იცით, ჩვენში ტელეეკრანზე თუ გამოჩნდი, ადამიანთა დიდი ნაწილისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის სანიმუშო და მისაბაძი ხდები, ნარკომანი, მამათმავალი ანუ პედერასტი, ლესბოსელი და ბოზიც რომ იყო, მაინც!

ეს ტენდენცია მალე დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულებად გამოცხადდა და მისი მიმდევარი ჩვენებური ბრიყვები, რომლებმაც ჭეშმარიტი ევროპული კულტურა კი არა, თვით ევროპა სად მდებარეობს მსოფლიო რუკაზე, ისიც კი არ იციან. რად გინდა მერე, რა! მკბენარებივით მომრავლებულ, სოროსისა და მისი ძმების ძუძუნაწოვ და მხარდაჭერილ არასამთავრობო ორგანიზაციებს სწორედ ეს ბრიყვები ავსებენ და უცხოელი „დიდი ძიების“ მიერ შეშინებული ჩვენი ხელისუფლება სწორედ იმათ ჭკუაზე დადის. არ ივლის და...

რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება ჩვენში, ბრიყვების, უზრდელების, ახვრების ავტორიტეტი: თანაბდებობები და მაღალი ხელფასები – მათ! პრემიები და ჯილდოები – მათ! წოდებები და პრივილეგიები – მათ! მათგან კეთილად განსხვავებულებს – ხვიშტი!

ჰო და, ბევრმა ნიჭიერმა და ერთ დროს ზნეობრივმა ადამიანმა ვერ გაუძლო ცდუნებას და იმათ მარაქაში ჩადგა, ჩვენი გადაშენება-გადაგვარება რომ აქვთ დავალებული...

ერთ დღეს, ქართული ტელევიზიის ეკრანზე ისეთი „ხელოვნება“ გვიჩვენეს, რომ თვით ნიჰილისტებიც კი გაოგნდნენ: მრგვალი მაგიდის გარშემო შვიდი-რვა ახალგაზრდა, როგორც გვითხრეს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ისხდნენ, რომლებიც, რიგრიგობით, სახეში აფურთხებდნენ ერთმანეთს. ეს ლამაზი გოგო-ბიჭები ისეთი სიამოვნებით უშვერდნენ სახეს ფურთხს, თითქოს ციური მანანა ეპკურებოდათ. „დედა, რა იყო ეს?“ – წამოსცდა სრულიად საქართველოს ტელემაყურებელს და მაშინვე მიიღო აკადემიის იმდროინდელი რექტორის პასუხი: ეს თანამედროვე ევროპული კულტურააო. რაც ახლა ნახეთ, ამ სტუდენტების სადიპლომო ნამუშევარია, რითიც მათ თავიანთი ევროპული ორიენტაცია გამოხატესო. ამ სანახაობას რაღაც სახელიც კი რქმევია დასავლურ „კულტურაში“, გვითხრა კიდეც ამ რექტორმა, მაგრამ ვერ (თუ არ!) დავიმახსოვრე. ვისაც აინტერესებს შეიძლება ჰკითხოს იმდროინდელ რექტორს, რომელიც, როგორც ვიცით, ცოცხალია და ჯანსაღი.

ა, ბატონო, კიდევ გავიხსენოთ უხამსობის მაგალითები ხელოვნებაში! ამას რა გახსენება უნდა, თავზე საყრელად არ გვაქვს, თუ! აგერ, ინებეთ: ერთმა არც თუ უცნობმა რეჟისორმა სპექტაკლი დადგა დედაქალაქის ცენტრში არსებულ ერთ-ერთ თეატრში, რომელიც როგორ იწყება, თუ იცით? როგორ და ფარდა გაიხსნება თუ არა, სცენაზე შემორბის ერთი მოხდენილი ჯეელი, შარვალსა და საცვალს ჩაიძრობს და თავის გენიტალიებს ნატურალური სახით უჩვენებს მაყურებელს! ამ სცენას ტაშიც ახლდა!

დასავლური კულტურის ნიშანია ესეც, თუ ანატომიაში მაყურებლის განათლება ჰქონდა მიზნად დასახული რეჟისორს? არა, ბატონო, რუსული რევოლუციის ერთ-ერთი ბელადის, საერთაშორისო ავანტიურისტის ლეიბა ტროცკის ლოზუნგის – „ძირს სირცხვილი!“ – რეალიზაციის მცდელობაა ეს. ტროცკისტული ლოზუნგები, სამწუხაროდ, თანამედროვე დასავლური მასკულტურის იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ეს ის კულტურაა, რომელსაც დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ, ოსკარ შპენგლერმა „ევროპის მზის ჩასვენება“ უწოდა XX საუკუნის 20-იან წლებში.

ჩვენი „ახალქართული ელიტა“ ახლა უხამსობას მოწინავე, თანამედროვე, დასავლური მიმართულების კულტურად მიიჩნევს, ხოლო სიბრიყვეს, უვიცობასა და სისულელის ბეჭუტურს – სიბრძნედ!

აგერ, ახლახან, მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს რომ მიმოიხილავდა, ელიტარულმა პოლიტოლოგმა ჩემთვის (ალბათ, სხვისთვისაც!) ერთობ საინტერესო ცოდნა გაავრცელა: ამერიკის პრეზიდენტი ტრამპი კედლის აშენებას აპირებს აშშ-მექსიკის საზღვარზე და აცხადებს, რომ ამ მშენებლობისთვის საჭირო თანხის ნაწილი მექსიკამაც უნდა გაიღოსო. მექსიკის პრეზიდენტი არ ეთანხმება კოლეგას და ჯიუტად აცხადებს: მექსიკა ერთ თეთრსაც არ გადაიხდის ამ საქმისთვისო. არ უნდა აეხსნა ჩვენს პოლიტოლოგს, როდის აქეთაა, რომ მექსიკაში ლარი შემოიღეს?

აი, ასეთი „პროფესიონალებისაა“ ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის ყველა სფერო და უბანი. უიმედობა და კაეშანი შემომაწვება ხოლმე ამ ბოლო დროს ხშირად. დიდმა ილიამ რომ დაგვისვა დიაგნოზი („ბედნიერი ერი“!), იმის შემდეგ ჩვენს გამოსწორება-გამოჯანმრთელებას დაადგა რაიმე საშველი? არა და არა!

მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო მას, – ასე ათქმევინა მეფე გიორგის კონსტანტინე გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენაში“. ეეჰ, ან მაკედონელი სადაა, ან ერი! სანდრო კარიძე რომ ამბობს „დათა თუთაშხიაში“: ჩვენი ხალხი საძოვარზე მიშვებული ნახირია ახლა. კი, ახლაც ისმის თითოოროლა პატრიოტი მამულიშვილების გულიდან ამოხეთქილი კივილი – ხალხო, გამოფხიზლდით, წინაპართა ბრძოლითა და შრომით დღემდე მოტანილი მამული ხელიდან გვეცლება, ქართველი ერი კი ეთნოგრაფიულ ექსპონატად იქცევა მალეო. ხშირად ისმის ეს, ასევე თითოოროლა პატიოსანი გაზეთებიდან, მაგრამ ჩვენს გამოღვიძებას არ დაადგა საშველი. როგორც ჩანს, ისევ ველოდებით „ბაზალეთის ტბის ძირას, ოქროს აკვანში“ მწოლიარე ყრმის დავაჟკაცებას, მაგრამ... ტბის ძირიდან არავინ მოდის, ტბისპირიდან კი მოვიდა ერთი ჯეელი, ცრუქაქუნა „პატრიოტი“ და თუმცა ქვეყანას ვერა არგო რა, სამაგიეროდ, თავის თავს არგო და იმ ბაზალეთის პირას თავადური მამული მოიწყო, იმ ღვთის გლახამ. ერთი რამე იცის კარგად ცრუქაქუნამ: ახლა მისნაირების დროა და არც გაუშვია შანსი ხელიდან: ყვარყვარეობით გმირად მოაჩვენა თავი (რიშელიესი არ იყოს, ერთი კაცის მოტყუებაა ძნელი, თორემ ხალხის მოტყეებას რა უნდაო!) და ხვეტა და ხვეტა რაც მოსახვეტი იყო.

ახლა სხვა ყვარყვარეები ხვეტენ!

აგერ ახლახან, ბევრისმნახველი ცნობილი ჟურნალისტი წერდა გაზეთში („ხელისუფლების ჩინოვნიკთა პრემირებული ღორმუცელობა“): ხალხს როცა უჭირს, მთავრობა ფუფუნებაში არ უნდა ცხოვრობდესო. შესაბამისი ფაქტებიც უხვად აქვს წარმოდგენილი. იმ ცნობილ ჟურნალისტთან ერთად უნდა ვიკითხო: რისთვის ჯილდოვდებიან უხვი პრემიებით ეს სახელისუფლებო ბობოლები? ალბათ, იმ წარმოუდგენელი სისულელეებისათვის, რაზეც საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში დღენიადაგ ბეუტურობენ და ლაყბობენ...

აი, ჩვეულებრივი სიბრიყვის ქრესტომათიული მაგალითი:

„ნაცმოძრაობის“ მიერ საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანის მოღალატური გადაწყვეტილების გაუქმება და პარლამენტის თბილისში დაბრუნება თუ საკამათო გახდებოდა ნაცბანდის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, ამას რა მაფიქრებინებდა! ოპოზიციაში მყოფი ნაცები რომ თავიანთი მანიაკი ბელადის ერთგული დარჩებოდნენ და რა სისულელეებსაც იტყოდნენ, ვიცოდი, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობაში (თანაც საკონსტიტუციო უმრავლესობაში!) თუ არ იქნებოდა ერთსულოვნება, არ მეგონა! მაგრამ კაცი ბჭობდა და... იმისი არ იყოს...

„ქართული ოცნების“ ფრაქციის ლიდერთან საგაზეთო ინტერვიუ წავიკითხე და რას ამბობს ეს კაცი, იცით? „მე უფრო ვიხრები იმ აზრისკენ, რომ ქუთაისელებს ის შანსი, რომ პარლამენტი იყოს ქუთაისში, ნამდვილად არ უნდა წავართვათო“. ზუსტად ასე ამბობს!

დედ-მამის სულს გაფიცებთ, ეს კაცი ნორმალურად მოაზროვნედ მიგაჩნიათ? თუ ასეთად მიიჩნევთ, მაშინ მითხარით პარლამენტის ამა თუ იმ ქალაქში მდებარეობა ქალაქელებისთვის რაიმე შანსია? თუ ასეა, მაშინ ამ შანსს მოკლებულმა ბათუმელებმა, ფოთელებმა, ზუგდიდელებმა, ზესტაფონელებმა, გორელებმა, ახალციხელებმა, თელაველებმა რა ქნან? დაჩაგრულად იგრძნონ თავი? ოციოდე დამლაგებლის, ათიოდე მონტიორის, ხუთიოდე არენიზატორის, რამდენიმე მეეზოვის სამუშაო ადგილის გამოჩენაა საქართველოს მეორე ქალაქის მოსახლეობის შანსი?

რასაა რომ ლაპარაკობთ ნეტავი!

სადაც პარლამენტია, იქ უნდა იყოს მთავრობაც! მართვის თეორიის ცოდნაც კი არ არის საჭირო ამის მისახვედრად! იქნებ მთავრობაც ქუთაისში გადავიყვანოთ?, მაშასადამე, საქართველოს დედაქალაქიც გადავიტანოთ თბილისიდან! დიდი ხანია, ეს უნდათ ზოგიერთებს. ამის ერთ-ერთ აქტიურ მოწადინეს საკუთარ კაბინეტში ტყვია დაეჭედეს შუბლში და ეს სურვილი კარგა ხანია, აღარავის გამოუთქვამს. ახლა დაიგულეს საქართველო უპატრონოდ და იმათ დაკვეთას ასრულებენ ჩვენი არჩეული ბიჭები!

ისე, იცოდეს „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარემ: თბილისი ვახტანგ გორგასალმა საქართველოს დედაქალაქად დაარსა, დავით აღმაშენებელმა საქართველო რომ გააერთიანა, დედაქალაქი კვლავ თბილისში გადმოიტანა, მისი დიდი გეოსტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობის გამო! მას შემდეგ ერთიანი საქართველოს დედაქალაქი თბილისია და ახლა ჩვენს მიერ არჩეულ გოგო-ბიჭებს ეჭვი შეაქვთ ამაში? თან თავს იმით იმართლებენ, ორმოცდაათამდე დამლაგებელს, მეეზოვესა და მონტიორს არ გვინდა ვაწყენინოთო!

იხ. 6 გვ.

თამბაქოს მოწევაზე შეზღუდვები 1 წლით გადავადდა

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევის აკრძალვა 1 წლით გადავადდა. თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორმა, დეპუტატმა გუგული მაღრაძემ განაცხადა, რომ მთავრობასა და პარლამენტს შორის კონსულტაციების შედეგად, აკრძალვა 2018 წლის 1 მაისიდან ამოქმედდება.

„მთავრობასთან გვქონდა მთელი ერთთვიანი კონსულტაციები და მივედით გარკვეულ კონსენსუსამდე, რასაც, ასე ვთქვათ, დავთმობთ, ეს არის ვადები. ერთ წელს ვაძლევთ და 2018 წლის 1 მაისიდან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აიკრძალება მოწევა. გარდა ამისა, თვითონ პარლამენტის წევრებისგან იყო შენიშვნები სადა შეფუთვის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ და ასევე, დავუშვით, რომ მოწევა ნებადართული იქნება კაზინოებში და სიგარბარებში, სერიოზული ლიცენზირების პირობებში“, – განაცხადა გუგული მაღრაძემ.

ან რას იჭერდნენ, ან რას უშვებდნენ?!

გუშინ გვიან ღამით, ზუგდიდის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილი ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსი გრიგოლ მიქავა, 12-საათიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, სამართალდამცავებმა გაათავისუფლეს.

მიქავამ ანალიზისთვის ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე უარი განაცხადა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ადგილობრივი საკრებულოს აპარატის უფროსი გრიგოლ მიქავა ნარკოტიკების შეძენა-მოხმარების ბრალდებით იყო დაკავებული.

ასლან აბაშიძის დაბრუნება – ისტორია არ გვიშვებს

ბათუმის სასამართლომ კვალიფიკაცია შეუცვალა სისხლის სამართლის საქმეს აჭარის მრავალწლიანი მმართველის ასლან აბაშიძის მიმართ, რომელსაც საკუთარი მოადგილის ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობა ედებოდა ბრალად. ამ თითქოსდა „უცნაურ“ და ვითომდაც „მოულოდნელ“ („აბა რაღა დროს ასლანია?!“) გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ცნობა, რომ ასლანს 78 წლის ასაკში შვილი შეეძინა!

ღმერთმა კარგად უმყოფოს, თუმცა ელემენტარული ლოგიკა გვიკარნახებს, რომ არანაირი „გეგმები“ აჭარის, მით უმეტეს საქართველოს მიმართ მას არა აქვს, მაგრამ ასლანმა მეტისმეტად დიდი როლი შეასრულა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რათა ასე უცბად და უჩუმრად, ანუ „უშედეგოდ“ წავიდეს პოლიტიკური და ისტორიული სცენიდან.

იურიდიულ ლოგიკას თუ გავყვებით, სასამართლოს სენსაციური გადაწყვეტილება ასლან აბაშიძის ბრალთან დაკავშირებით, უეჭველად იმას ნიშნავს, რომ **ეს ბრალი მას სულაც შეიძლება მოეხსნას, ანუ საკუთარ კაბინეტში თავისივე მოადგილის მოკვლა „აუცილებელ მოგერიებად“ ჩაეთვალოს; რასაც, სხვათა შორის, თავისი არგუმენტები აქვს, რადგან ფაქტია: ავტომატმოღერებული ნოდარ იმნაძე მართლაც თვითონ შეუვარდა იმდროინდელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს კაბინეტში და პირველმა გახსნა ცეცხლი.**

აქვე: ზედმეტიც კია იმის აღნიშვნა, რომ აღწერილი ეპიზოდი იმდროინდელი სიტუაციის სრულ მარაზმატულობას ადასტურებს და ასეთ ფონზე ნამდვილად არაა გასაკვირი, თუ ეს ტოტალური მარაზმი, ამ მოვლენებიდან რამდენიმე თვეში, კიდევ უფრო დიდ და სისხლიან მარაზმში, ანუ სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

აბა სხვაგვარად როგორ იქნებოდა?

* * *

„მიმდინარე“ ისტორიაში, რომელიც არა და არ გვეშვება, ოთხი მომენტია აუცილებლად აღსანიშნავი:

პირველი ის, რომ ასლან აბაშიძეს ადვოკატად დაუდგა „ეროვნული მოძრაობის“ ერთ-ერთი პატრიარქი, საბჭოთა დროინდელი დისიდენტი, გელა ნიკოლაიშვილი! საკმაოდ ნიჭიერი ადვოკატია და სულაც **არაა გამორიცხული, მისი ძალისხმევით ასლან აბაშიძეს არა მხოლოდ მკვლელობის ეპიზოდი მოეხსნას, არამედ სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი ბრალდებებიც კორუფციასა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში, რისთვისაც მრავალწლიანი სასჯელი აქვს დაუსწრებლად გადაწყვეტილი.**

ზოგადად, ასლან აბაშიძის ერთ ერთი ფენომენური უნარი იყო მუდამ, რომ გენერალ კოჩეტოვთან, გენერალ ლებედთან, გენერალ ალქსნისთან და „კრემლის“ სხვა სატრაპებთან ყოველმხრივ თანამშრომლობასა და მოკავშირეობას რაღაცნაირად უთავსებდა (ამას ხომ მოხერხება უნდოდა და უნდა?!) ხსენებული „მოძრაობის“ ლიდერებთან შეხმატკბილებას. თანაც, განურჩევლად მათი „ზვიადისტობა-ანტიზვიადისტობისა“. თითქოსდა, ჩოლოქის ხიდი რუსმა გენერალმა კოჩეტოვმა იმდროინდელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით არ ააფეთქა, ხოლო 2002 წელს მიღებული აჭარის კონსტიტუცია საქართველოში ლამის სრულფასოვანი მეორე სახელმწიფოს შექმნას არ ითვალისწინებდა – იმავე კრემლის ლოცვა-კურთხევით.

მაგრამ იმ „მოძრაობის“ ფენომენი იმდენად იდუმალია მისი ინტელექტუალური და მსოფლმხედველობრივი „სიღრმის“ გამო, რომ აქ მარჩიელობას აზრი არა აქვს.

* * *

მეორე ნიშანდობლივი მომენტი: ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არაფრის დიდებით არ აწყობს თბილისის დღევანდელ ხელისუფლებას, რაკი „აუტკივარ თავს ისევ ატკივებს“, ანუ, ისედაც უამრავი პრობლემის ტყვეობაში მყოფს, აიძულებს, კიდევ დამატებითი ძველ-ახალი პრობლემების გადაწყვეტაზე იზრუნოს მაშინ, როდესაც ასლან აბაშიძე სამუდამოდ წარსულს ჩაბარებული ეგონა.

ხელისუფლების ნება რომ ყოფილიყო, ის ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ მიიღებდა და ასლან აბაშიძის პოლიტიკური რეინკარნაციის შთაბეჭდილებას არ შექმნიდა, რაკი ეს „ოცნებისთვის“ ნებისმიერ შემთხვევაში სარისკო და წამგებიანია: ბოლოს და ბოლოს თუნდაც იმიტომ, რომ მიშას და მის მომხრეებს აძლევს „სალაპარაკოს“.

ოღონდ, ამას ვერაფრის დიდებით ვერ შეასმენ იმ „ენჯეოშნიკთა კამარილიას“, რომელმაც ყველაფერი გააკეთა „მოსამართლეთა ამქრის“ სრული დამოუკიდებლობისთვის და ახლა უკვირს მისი „დამოუკიდებელი“ გადაწყვეტილებები იმავე მურუსიძესა და ასლან აბაშიძესთან დაკავშირებით.

* * *

მესამე: ასლან აბაშიძის პოლიტიკური რეანიმაციის მცდელობა მოჰყვა ბათუმის ცნობილ მოვლენებს, როდესაც ანტითბილისურად განწყობილმა სეპარატისტებმა (!) გადაბუგეს ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური პროსპექტი. იმ მოვლენებს „აჭარულ ელიტებში“ სულ სხვა შეფასება აქვს, ვიდრე თბილისში და ადგილობრივ მოსამართლეთა ეს პროვოკაციული, შინაარსით „საბოტაჟური“ გადაწყვეტილება ამას სრულად ადასტურებს: აჭარის „დამოუკიდებელმა“ სასამართლომ თბილისს მიანიშნა, რომ „ყველაფერი ასე არ არის“, ხოლო ადგილობრივ ელიტათა ინტერესების გათვალისწინება და ზომიერების დაცვა მუდამ საჭიროა. მათ შორის კადრების შერჩევაში.

ბოლოს, **მეოთხე: ყველაფერი, რაც აჭარაში მოხდა 1991 წლის შემდეგ** მართლაც ასლან აბაშიძის სახელს უკავშირდება, მაგრამ დავსვათ კითხვა: როგორ აღმოჩნდა საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სავარძელში?

როგორ და, იმდროინდელი ე.წ. „მრგვალი მაგიდის“ შემადგენლობაში შემავალმა ჭკუისკოლოფმა „ტრადიციონალისტებმა“, აქაოდა ძველისძველი თავადური გვარის წარმომადგენელია, რომელიც აჭარას 500 წელი მართავდაო“, ასეთი „ჭკვიანური“ რჩევა მისცეს ზვიად გამსახურდიას; თანაც აშკარად ყალბი და ბრიყვული დაპირებით, რომ თურმე აბაშიძე „ავტონომიას გააუქმებდა“.

ჯერ ერთი, ავტონომიის გაუქმება თავისთავად სრული სიგიჟე იყო (მაშინაც და ახლაც), რადგან ამ ავტონომიას საერთაშორისო ხელშეკრულება იცავს, ხოლო გარანტორები თურქეთი და რუსეთი არიან; გარდა ამისა, პატიოსან რეფერენდუმში, ოღონდ მაღალმთიანი აჭარის მონაწილეობით, ავტონომიის გაუქმების იდეა ვერანაირად ვერ გაიმარჯვებდა, თუმცა ადრეულ სამოქალაქო ომს გამოიწვევდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასლან აბაშიძეში, აჭარის ელიტებმა, უმალვე შენიშნეს „თავისიანი“, რომელიც „თბილისისაგან“ მათ ავტონომიას არათუ დააკნინებდა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებდა.

ამაში არც მოტყუვდნენ. მერედა, ვინაა პასუხისმგებელი, თვით ასლანი თუ ის, ვინც იგი ამ თანამდებობაზე დანიშნა რაღაც ბავშვური (მეტს თუ არ ვიტყვით) გულუბრყვილობით?

საბედნიეროდ, **ასლან აბაშიძე საკმარისად გონიერი და რეალისტი პოლიტიკოსია (ამაზე 2004 წლის მაისში მისი მოქმედება მეტყველებს, როცა მოსკოვის ყველა შეთავაზება უარყო ევაკუაციის გარდა), ანუ თავად არ მოინდომებს „იმავე მდინარეში მეორედ შესვლას“, რაკი კარგად ესმის სხვაობა სასურველსა და შესაძლებელს შორის.**

თუმცა, „მესიჯი“, რომელიც აჭარის ელიტებმა ამ გადაწყვეტილებით თბილისს გამოუგზავნეს, ძალიან საშიში და მნიშვნელოვანია.

მიხეილ გეწაძე

არა არს რა დაფარული!..

(მეხუთე გვერდიდან)

სისულელე და სიბრიყვე ამაზე შორს წავა, ვითომ?

კი, როგორ არაო, – მეტყვის ჭკვიანი მკითხველი და მაგალითებსაც დამისახელებს... ჩვენი საპარლამენტო საქმიანობიდან, რადგან სისულელეებისა და სიბრიყვის საგანძური სწორედ ის არის. განა პიტალო სისულელე არ არის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იმაზე მსჯელობა, ჩაიწეროს თუ არა ქვეყნის კონსტიტუციაში ის, რომ საქართველო მიისწრაფის ევროპისკენ და მისი ბოლო გაჩერება ნატო და ევროკავშირია (ერთი სადგური აქვთ ორივეს!) და რომ ცოლქმრობა ქალისა და კაცის კავშირია, რომ დედა ჰქვია მდედრობითი სქესის მშობელს, მამა კი მამრობითი სქესისას. აბა, გულწრფელად მითხარით, ნორმალური აზროვნების გამოხატულებაა ამგვარი მსჯელობები?! ბარემ ისიც ჩაწერონ კონსტიტუციაში, რომ განავლის ჭამა არ შეიძლება და სუფრაზე, მით უფრო, სტუმრების თვალწინ არ უნდა მოიაქმო.

აი, ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ინტელექტუალური პოტენციალი! ამათი იმედით ვაპირებთ სახელმწიფოს მშენებლობას? ვაი, ჩვენს პატრონს!

იქნებ აღმასრულებელ ორგანოებშია სულელური აზრების ნაკლებობა? არაფერი გეტკინოთ!

სამწუხაროდ, გახშირდა სისულელეების არა მარტო ლაპარაკი, არამედ კეთებაც. ამას წინათ, ერთი რომელიღაც პარტიის ლიდერი და მისი აქტივისტები პირდაპირ ტელევიზიით (მიხვდებით, რომელი ტელევიზიითაც!) გამოვიდნენ და განაცხადეს, მარიხუანის პლანტაციის გაშენებას ვაპირებთ და მსურველები შემოგვიერთდითო. გესმით, კაცო! ღია ეთერში განაცხადეს! ეს პარტია „გირჩია“, „რკოა“ თუ „ბამბაეკალა“, კვლავაც უშფოთველად განაგრძობს საქმიანობას. გასაგებია, ეგრეთწოდებული პარტია თუ ჯგი ვისი ძაღლისშვილებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ სამართალს აღარავინ იცავს საქართველოში? მარტო თავიანთ პრემიებსა და სახელფასო დანამატებს იცავენ? თუ მთელი საზოგადოება გამოთაყვანდა პირწმინდად? ვინმემ რომ თქვას, ქურდული იდეების მიმდევარი ვარო, ერთი შაურის საღირალიც რომ არასოდეს ჰქონდეს მოპარული, ციხეში ჩააყუდებენ, ესენი ნარკოპლანტაციების გაშენებას აპირებენ და ვითომც არაფერი!

ძალიან არ მინდოდა ჩვენს ხელისუფლებაზე ვთქვა, უნიათოდ და ბეჩავად გამოიყურება ჩვენში მომრავლებული უვიცებისა და აგრესიულად უზნეო ორფეხა ცხოველთა გვერდით-მეთქი; არ მინდოდა იმიტომ კი არა, რომ ხელისუფლების წყენინება არ მინდოდა ან დიდი პატივისცემა და სიყვარული მაქვს მისი. იმიტომ არ მინდოდა, რომ ჩვენს იდიოტურ ოპოზიციას ერთთავად ენაზე აკერია, ხელისუფლება უნიათო და არაფრისმაქნისიაო და არანაირი სურვილი არ მაქვს, თუნდაც ამ ნიშნით მათ დავემსგავსო, მაგრამ რა ვქნა? „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“

ქვეყნის პრეზიდენტიდან დაწყებული, პარლამენტის ყველაზე „ყრუ-მუნჯ“ დეპუტატამდე, ყველას ვეკითხები: იმისთვის აგირჩიეთ მაგ დასაწვავ სავარძლებში ჩამსხდომებად, რომ ჩვენი საზოგადოების აბუჩად აგდება და შეურაცხყოფა აპატიოთ ქვეყნის ყველა ფარულ თუ აშკარა მტრებს, ხელისუფლებაში იქნებიან ისინი თუ ოპოზიციაში. ანდა, თვითონ თქვენ კი სულ არ გაქვთ თავმოყვარეობა? ის მაინც არ გეუხერხულებათ, რომ ეს იდიოტი ოპოზიცია, ქვეყნის ყველა წარუმატებლობასა თუ მათთვის მიუღებელ მოქმედებას ბიძინა ივანიშვილს აბრალებს? გარდა იმისა, რომ მილიარდერია, კიდევ რა თანამდებობა უკავია ამ კაცს საქართველოში? ვერ ეტყვით ამას ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად ამ იდიოტებს? ანდა, იქნება მართლა ბიძინა ივანიშვილი მართავს ფარულად საქართველოს? გვითხარით, ახალი კორლეონეა ეს კაცი თუ ყოფილი ჭორვილელი იმერელი გლეხის შვილი?

ვინ ვართ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს? ჩვენი ქვეყნის უზენაეს სასამართლოს იმის უფლებაც არა აქვს, რომ ქონებრივი დავის შესახებ საბოლოო განაჩენი გამოიტანოს?

აგერ ახლახან, როგორც იქნა დამთავრდა „რუსთავი-2“-ის უსაშველოდ გაჭიანურებული სასამართლო პროცესი. ყველა სასამართლო ინსტანცია რომ მოიარა ამ საქმემ, ბოლოს საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნა „რუსთავი-2“.

იმავე დღეს გამოცვივდნენ ტელეეკრანებზე რუსთავორელი ნამუსგარეცხილები და რაც სალანძღავი სიტყვა იყო, არაფერი დაიშურეს ბიძინა ივანიშვილისათვის. კარგი, ბიძინა ივანიშვილის გინებას მიჩვეული ვართ, მაინც კერძო პირია და თუ სიამოვნებს ლანძღვა, აიტანოს, თუ არა და პასუხი გასცეს. ჩვენი ადვოკატობა რაში სჭირდება მილიარდების მფლობელს, ნეტავი? მაგრამ რაც გვარამიამ თქვა პირდაპირ ეთერში და რაც უპასუხოდ დატოვა ხელისუფლებამ, ჩვენი სიბეჩავე არ არის?

„საქართველოს უმაღლესი სასამართლო სანაგვეა“-ო! ეს თქვა „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა. ქვეყნის უზენაესი სასამართლო თუ ნაგავსაყრელია, მაშინ საქართველო რაღაა, ნეტავი? არ არის ეს საქართველოს მოქალაქეთა აღვირახსნილი შეურაცხყოფა ამ ახვრებისაგან?

ღორის ტილს ფეხზე თუ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო, – ნათქვამია. თქვენ კი ძვირფასო (პირდაპირი, ფულადი გაგებით!) ხელისუფლებავ, ღორის ტილები ფეხზე კი არა, პირდაპირ თავზე დაისვით და ეგაა! ალბათ, რაღაც, ჩვენთვის გაუგებარ სიამოვნებას ღებულობთ ამით. აბა, ისე, არაფრის გამო, რატომ იზამდით ამას, ნეტავი? როცა იქნება გამჟღავნდება ეს, რადგან სახარებისეული სიბრძნეა: „არა არს რა დაფარული, რაცა არ გაცხადდეს“.

ზურაბ ცუცქირიძე

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

1917 წლის 8 მარტს სტალინი აჩინსკიდან პეტროგრადში ჩადის, 1917 წლის 12 მარტს ის რევოლუციის ბობოქარ დედაქალაქშია. ქალაქში პრაქტიკულად არ არიან პარტიის ხელმძღვანელები (ლენინი შვეიცარიაშია), ამიტომ სტალინი მოლოტოვთან ერთად ხელმძღვანელობს ცენტრალურ კომიტეტსა და ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტს. ბობოქარ პეტროგრადში სტალინი ეცნობა თავის მეორე ცოლს. თექვსმეტი წლის გიმნაზიელი გოგონა ნადეჟდა ალილუევა და ოცდათვრამეტი წლის რევოლუციონერი ერთმანეთს შეხვდნენ, როდესაც სტალინი ალილუევების ბინაში ჩასახლდა. ქალიშვილის მამა – სერგეი იაკობის ძე ალილუევი – რევოლუციონერი იყო. საოჯახო გადმოცემით, სტალინმა და მისმა მეუღლემ ერთმანეთი გაიცნეს გაცილებით ადრე, როდესაც ორი წლის გოგონა, ბაქოში სანანპიროზე თამაშის დროს ჩავარდა ზღაში და ის კობამ გადაარჩინა.

1917 წლის 3 აპრილს რუსეთში ბრუნდება ლენინი. ჩამოსვლიდან მეორე დღეს ლენინი გამოვიდა თავისი ცნობილი აპრილის თეზისებით, რომელსაც იმ მომენტში უფრო ხშირად „გიჟის ბოდვას“ უწოდებდნენ, ვიდრე „გენიალურ გეგმას“. ჩამოსულმა ილიჩმა ყველასათვის მოულოდნელად მოუწოდა არ დავუჭიროთ მხარი დროებით მთავრობას, არამედ ჩავუღრმავდეთ რევოლუციას, გადავიდეთ ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაში. ბევრმა როდი დაუჭირა მხარი ლენინს უმალვე. იმ მცირეთა შორის იყო სტალინი. 1917 წლის 24 აპრილს გაიხსნა ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენცია, რომელზეც ლენინმა გაიმეორა თავისი თეზისები, ამხანაგი კობა გამოვიდა მოხსენებით ეროვნულ საკითხზე. მასში ის მხურვალედ იცავდა ერების უფლებას თვითგამორკვევაზე – დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოყოფამდე და ჩამოყალიბებამდე. ეს იყო გზა რუსეთის სახელმწიფოს დანგრევისაკენ იმ სახით, რომლითაც ის არსებობდა უკვე სამასი წელიწადი.

კონფერენციის შემდეგ, 1917 წლის მაისში ჩამოყალიბდა პარტიის ხელმძღვანელობის კიდევ ერთი ორგანო. უფრო ვიწრო და მობილური – პოლიტბიურო. სტალინს ირჩევენ მის წევრად და იმ დროიდან გარდაცვალებამდე, 1953 წელს, უცვლელად იყო ცენტრალური კომიტეტ-

ტის პოლიტბიუროს წევრი. სტალინი ლენინისთვის ხდებოდა კარგ „სამუშაო ცხენად“. ყველაფერს ყურადღებით ეკიდება, რასაც ავალებენ და ამ დროს ყოველთვის მხარს უჭერს ლენინურ ხაზს. აი, 1917 წლის ზაფხულშიც ის კვლავ ხელმძღვანელობს „პრავდას“, წერს სტატიებს „პრავდასა“ და „სოლდატსკაია პრავდაში“. 20 ივნისს საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა ირჩევს ამხანაგ სტალინს ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) წევრად. ბოლშევიკების ივლისის დემონსტრაციის შემდეგ, რომელიც არა ხელისუფლების ხელში აღებით, არამედ ჩავარდნით დამთავრდა, ლენინი იძულებულია დაიმალოს პეტროგრადის გარეუბანში. ის ზინოვიევთან ერთად ცხოვრობს რაზლივის ერთ-ერთ ქოხში. ამ დროს სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობს ცენტრალურ კომიტეტსა და მთავარ ბოლშევიკურ გაზეთს, რომელიც ამ დროს სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა. 1917 წლის ზაფხულში პეტროგრადში მიმდინარეობს პარტიის IV ყრილობა, რომლის მუშაობასაც სვერდლოვთან ერთად სტალინი ხელმძღვანელობს.

ოქტომბრის გადატრიალების წინა დღეს – 1917 წლის 16 ოქტომბერი – ცენტრალურმა კომიტეტმა აირჩია აჯანყების ხელმძღვანელობის პარტიული ცენტრი, სტალინის ხელმძღვანელობით. ამ სხდომაზე გამოსვლის დროს კამენევი და ზინოვიევი წინადადებას აყენებდნენ გადაედოთ აჯანყება მოუმზადებლობისა და საჭიროების გამო. რატომ მოვაწყოთ აჯანყება, თუ მალე დუმაში არჩევნებია, რომელიც შეიძლება მოვიგოთ და რომელსაც აუცილებლად მოიგებენ მემარცხენე პარტიებიო? სტალინმა ცენტრალური კომიტეტის ამ სხდომაზე გააკრიტიკა მათი პოზიცია: **„იმას, რასაც გვთავაზობენ კამენევი და ზინოვიევი, ობიექტურად მივყავართ შესაძლებლობასთან კონტრრევოლუციისთვის, რომ მოვემზადოთ და გავხდეთ ორგანიზებულები. ჩვენ უსასრულოდ დავიხევთ უკან და წავაგებთ რევოლუციას. რატომ არ უნდა უზრუნველვყოთ თავი არჩევანის შესაძლებლობისთვის, რათა გვქონდეს შესაძლებლობა აჯანყებისთვის, არ მივცეთ საშუალება კონტრრევოლუციას“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-89

დროებითი მთავრობის დაპატიმრების შემდეგ სტალინი შევიდა პირველ ბოლშევიკურ მთავრობაში – სახალხო კომისართა საბჭოში – როგორც ეროვნულ საკითხთა სახალხო კომისარი. სამოქალაქო ომის დროს ლენინი კვლავ იყენებდა სტალინს „ხვრელების ამოსავსებად“. ილიჩი აგზავნიდა კობას ყველაზე რთულ უბნებზე. 1918 წელს მოსკოვი და პეტერბურგი აღმოჩნდნენ მოწყვეტილი ქვეყნის მდიდარი სასურსათო ოლქებიდან. უკრაინისა და ციმბირის პური დაკარგული იყო ბოლშევიკებისთვის. რჩებოდა მხოლოდ ერთი მიმართულება, საიდანაც შეიძლებოდა მოგეპოვებინა პური – სამხრეთ-აღმოსავლეთი, ვოლგისპირეთი და ჩრდილოეთი კავკასია. გზა ამ ოლქებისკენ გადიოდა ვოლგაზე ცარიცინის გავლით. საკითხი ასე იდგა: შემოვა პური – გამყარდება რევოლუცია. არ შემოვა – რევოლუცია წააგებს. ასეთ პირობებში ცარიცინის ფლობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხდება. ამას გარდა, დენიკინის, კრასნოვისა და კოლჩაკის თეთრი არმიები ისწრაფოდნენ დაუფლებოდნენ ქალაქს ვოლგაზე – იმისთვის, რომ შეხვედროდნენ და ჩამოეყალიბებინათ ერთიანი ფრონტი ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1918 წლის 6 ივნისს სტალინი მუშათა რაზმთან ერთად ჩავიდა ცარიცინში, როგორც საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი სასურსათო საქმის საერთო ხელმძღვანელი რუსეთის სამხრეთში. ცარიცინის დაცვამ, რასაც სტალინი ედგა სათავეში, მიგვიყვანა საბოლოოდ ბოლშევიკების გამარჯვებამდე, რომლებმაც შეძლეს ქალაქის თავიანთ ხელში დატოვება. სწორედ ამიტომ ეწოდა შემდგომ ცარიცინს სტალინგრადი. სწორედ მაშინ სტალინის ნება შეეჯახა ტროცკის ნებას, რომელიც აღშფოთებული იყო კობას ქცევით, ვინც არავითარ შემთხვევაში არ აყენებდა წითელი არმიის მეთაურის ტროცკის მიერ გაგზავნილ სამხედრო სპეციალისტებს.

1918 წლის 30 ნოემბერს შეიქმნა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო ლენინის მეთაურობით. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისგან წარმომადგენლად თავდაცვის საბჭოში შეიყვანეს სტალინი, რომელიც ფაქტობრივად ლენინის მოადგილე გახდა. და სტალინს კვლავ აგზავნიან კრიტიკულ წერტილებში – კერძოდ, ძერჟინსკთან ერთად ილიჩის მიერ იგზავნება პერმში, სადაც მან შეძლო მდგომარეობის გამყარება და შეაჩერა მოსალოდნელი კატასტროფა. 1919 წლის ზაფხულში სტალინს აგზავნიან პეტროგრადის რაიონში, სადაც ჩრდილო-დასავლეთის თეთრი არმია მჭიდროდ უახლოვდება ქალაქს. კობა სწრაფად და ენერგიულად ახდენს ვითარების სტაბილიზაციას. ამის შემდეგ მას აგზავნიან (იმავე 1919 წლის ზაფხულში) უკვე დასავლეთის ფრონტზე სმოლენსკში, რათა შეეჩერებინა პოლონეთის შემოტევა. 1919 წლის შემოდგომაზე სტალინი დენიკინის ფრონტზეა. სწორედ მას, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნის უმთავრესი დამსახურება ცხენოსანთა პირველი არმიის შექმნაში ბუდიონისა და ვოროშილოვის მეთაურობით (და ყოველივე ამასთან ერთად 1919 წლის მარტში ლენინის წინადადებით, „საზოგადოებრივი დატვირთვის“ სახით, სტალინი ინიშნება სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად, რაც მოგვიანებით გარდაიქმნება მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატად. მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრად სტალინი რჩება 1922 წლის აპრილამდე).

პარტიის XII ყრილობის დელეგატების ერთი ჯგუფი

საბრძოლო მოღვაწეობასთან ერთად სტალინს უწევს იმუშაოს სამეურნეო საკითხებზეც: 1920 წლის თებერვალ-მარტში ის სათავეში უდგას უკრაინის შრომითი არმიის საბჭოს და აწარმოებს „მშრომელთა მობილიზებას ქვანახშირისათვის ბრძოლაში“. მაგრამ „სამეურნეო პერიოდი“ ხანგრძლივი არ ყოფილა: 1920 წლის მაისში ცენტრალური კომიტეტი სტალინს აგზავნის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე პოლონელების წინააღმდეგ. და სადაც უნდა ყოფილიყო სტალინი, ის ყოველთვის უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა თავის მასწავლებელს – ლენინს. დეპეშები, წერილები, ჩანაწერები. იმ პერიოდში სტალინი მართლაც იყო საბჭოთა რუსეთის მეთაურის მარჯვენა ხელი. 1919 წლის 27 ნოემბერს ის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, მაგრამ სტალინი უკვე აქტიურად ჩაერთო შინაპარტიულ დისკუსიაში. ეს დისკუსია მალე შინაპარტიულ ბრძოლაში გადაიზარდა, რომლის დროშის ქვეშაც მრავალი წელი გავა. 1921 წლის 19 იანვარს „პრავდაში“ იბეჭდება სტალინის სტატია „ჩვენი წინააღმდეგობანი“. 1922 წლის 3 აპრილს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ლენინის წინადადებით ამხანაგი სტალინი აირჩია ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. ამ პოსტის შექმნის აზრი მარტივი იყო: საჭირო იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო ემუშავა სამდივნო საქმიანობაზე – კადრების შერჩევა, მოსაწყენი რუტინული ამოცანა და ამ პოსტზე ასახელებს სწორედ სტალინს – იმას, ვინაც მზადაა შეასრულოს პარტიის ნებისმიერი დავალება. გენერალური მდივნის პოსტზე სტალინი შეძლებს სწორად გაანაწილოს პარტიული კადრები, რაც შემდგომ მას ძალიან დაეხმარება შინაპარტიულ ბრძოლაში.

სწორედ სტალინს ეკუთვნის დამსახურების უდიდესი წვლილი ერთიანი ქვეყნის შექმნის (უფრო სწორად – აღორძინების) საქმეში. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების I სრულიად საკავშირო ყრილობაზე ლენინისა და სტალინის წინადადებით მიღებული იქნა ისტორიული გადაწყვეტილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. უნდა ითქვას, რომ სწორედ სსრ კავშირის შექმნის საქმეში პირველად მოხდა აზრთა სხვადასხვაობა ორ ბელადს შორის. საქმე შეეხებოდა ქვეყნის ჩამოყალიბების პრინციპს. ლენინი სთავაზობდა თანაბარ რესპუბლიკათა კავშირს, რომლებსაც შეეძლოთ ადვილად გამოყოფდნენ, რაც მოხდა კიდეც 1991 წელს. სტალინი სთავაზობდა უნიტარული სახელმწიფოს პროექტს, რომელშიც სხვა რესპუბლიკები (უკრაინა, ბელარუსი, ამიერკავკასიის რეგიონი) შედიოდნენ რსფს რესპუბლიკაში ავტონომიის უფლებით და არ ჰქონდათ გამოსვლის არანაირი უფლება. კომისიის სხდომაზე 1922 წლის 23 და 24 სექტემბერს (ვ.მ.მოლოტოვის თავმჯდომარეობით) ღებულობენ სტალინის პროექტს. მაგრამ აქ საქმეში ერთვება ლენინი. ის გორკში ხვდება სტალინს და არწმუნებს მას შეცვალოს თავისი პროექტი, მოითხოვდა დაჟინებით, რომ რუსეთი ყოფილიყო თანასწორუფლებიანი დანარჩენ რესპუბლიკებთან დამოკიდებულებაში. რომ „მასთან ერთად და თანაბარი უფლებებით“ შესულიყვნენ ახალ კავშირში. სტალინმა ამ იდეას „ეროვნული ლიბერალიზმი“ უწოდა, მან პროექტი გადაამუშავა ლენინის მიერ გამოთქმული სურვილების გათვალისწინებით. შედეგად მიღებული იქნა ლენინის ვარიანტი. 1922 წლის 30 დეკემბერს გაიმართა საბჭოების ისტორიული ყრილობა. ყრილობაზე შეიქმნა უნიკალური სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელსაც ანალოგი არ ჰქონია მსოფლიო ისტორიაში – სსრ კავშირი. მასზე მოხსენება ძირითად საკითხზე გააკეთა სტალინმა. როგორ აეწყობოდა საბჭოთა კავშირის ბედი, თუ ცალკეული უკრაინის, ბელარუსის, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების ნაცვლად სსრ კავშირის შემადგენლობაში იქნებოდნენ უკრაინის ასსრ, ბელარუსის ასსრ და სომხეთის ასსრ, რომლებსაც, კონსულტაციის თანახმად, არ ექნებოდათ ქვეყნიდან გამოყოფის უფლება?

1923 წლის აპრილში გაიმართა პარტიის XII ყრილობა. ეს იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პირველი ყრილობა, რომელსაც ლენინი ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა. გაჩაღდა ბრძოლა პარტიის სათავეში დგომის შესახებ. ამ ბრძოლის ღია ფაზა დაიწყო ლენინის სიკვდილის შემდეგ – 1924 წლის 21 იანვარს. სტალინის მთავარი მოწინააღმდეგე იყო ტროცკი, რომელიც სსრ კავშირის ხელმძღვანელობაში მსოფლიო საბანკო კულისებს მიღმა ძალების პირდაპირი წარმომადგენელი იყო. უკვე 1924 წლის ნოემბერში თავის სიტყვაში „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი“ სტალინი ამბობდა, რომ „პარტიის ამოცანაა დავასაფლაოთ ტროცკიზმი, როგორც იდეური მიმართულება“.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ
(გაგრძელება იქნება)

ქართული ტერიტორიების მითვისება გრძელდება!



რუსმა სამხედროებმა ზუგდიდის სოფელ ხურჩაში 2 ჰექტარი მიწა მითვისეს

ზუგდიდის სოფელ ხურჩაში მცხოვრები არველოდ ნაჭყებია და ომარ მიქაუტაძე ერთი კვირაა, რაც საკუთარ ყანაში ვერ შედიან. ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსაზღვრედ მცხოვრებთა 2 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი რუსმა სამხედროებმა მიითვისეს. მათ ნაჭყებიას და მიქაუტაძის სიმინდის ყანებს ხის ბოძები შემოავლეს და უთხრეს, რომ აქ შემოსვლა ეკრძალებათ, რადგან ტერიტორია ოკუპირებულ რეგიონს ეკუთვნის.

ომარ მიქაუტაძემ გასულ კვირაში მეზობლებისგან შეიტყო, რომ სახლიდან მოშორებით მდებარე მის კუთვნილ 1 ჰექტარ სიმინდის ყანაში რუსი სამხედროები მუშაობდნენ.

„დავუძახე და მოვიდა ერთი, მაგას გავესაუბრე. მითხრა, რომ თქვენი არ არისო ეს მიწა, აფხაზეთის არისო. მე ვუმტკიცებდი, არ არის აფხაზეთის, ეს მიწა საქართველოსია და ბოძებს რატომ აკეთებთ-მეთქი. ეს შენი საკითხავი არ არისო, მითხრა. მე როცა აქ ვთოხნიდი, ხშირად ვხვდებოდი მაგათ. აქეთ არ გადმოდიოდნენ, ისე ველაპარაკებოდი. იმ წელს დავამუშავე მიწა, ავიღე სიმინდი და არაფერი არ უთქვამთ, მაგრამ ამ წელს კი შემოღობეს და რას ნიშნავს ეს, არ ვიცი. 6-7 კაცი იყო. ურალით იყვნენ მოსული“, — ამბობს ომარ მიქაუტაძე. მას უკვე წართმეულ ყანაში 5 ტონამდე სიმინდი მოჰყავდა. მოხუცმა ვერც გასულ კვირაში თავისი ხელით გამზადებული საშეშე მასალის გადმოტანა მოასწრო.

საკუთარ სიმინდის ყანაში შესვლა აკრძალული აქვს 90 წლის არველოდ ნაჭყებიასაც. ის მიწის ნაკვეთს 25 წლის განმავლობაში ამუშავებდა, სადაც სამ ტონამდე მარცვლეული მოჰყავდა. როგორც ხუთსულიანი ოჯახის უფროსი განმარტავს, ოკუპირებული ტერიტორიისთვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი ოჯახის რჩენის ერთადერთი წყარო იყო:

„ახლა სამხედროებისაა ეს, უფლება არ მაქვს იქ შევიდე. რა ვუყო ახლა მე საქონელს, არ ვიცი. ჩალა ხომ უნდა, სიმინდი ხომ გვინდა?! არსად ერთი მეტრი ნაკვეთი არ მაქვს მე“.

როგორც რესპონდენტები ჰყვებიან, რუსმა სამხედროებმა ბოძების განთავსებაზე სამი დღის განმავლობაში აქტიურად იმუშავეს, მას შემდეგ კი, რაც ეს ტერიტორია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებთან ერთად დაათვალიერეს, არ გამოჩენილან.

სოფელ ხურჩაში ზუგდიდის გამგებლის წარმომადგენელ ბადრი ხუნჯგურუას თქმით, მომხდარის შესახებ მას თანასოფლელებმა შეატყობინეს, რაც შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას აუწყა: **„ეს ტერიტორია არის მითვისებული. ჩვენ მოსახლეობამ გაგვაგებინა. საქმის კურსში იქნა ჩაყენებული სამხარეო, რაიონის ხელმძღვანელობა და ყველა სტრუქტურა, ვისაც ეხებოდა. იყო რეაგირება, დაათვალიერეს და კიდევ რა რეაგირებას გააკეთებენ, ეს უკვე მათზეა დამოკიდებული“.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ოკუპირებული ნაბაკევის მოსაზღვრე ზუგდიდის სოფელ ხურჩაში საოკუპაციო ხაზის გადმოწევა არ მომხდარა. სუს-ის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ბოძები ჩასმულია საოკუპაციო ზოლზე და ეს არის ბორდერიზაციის პროცესის გაგრძელება. მათივე განცხადებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამ ფაქტზე მოახდენს რეაგირებას, ისევე როგორც ყველა შესაბამისი უწყება ყველა დონეზე.

განცხადებას, რომ ბოძები ჩასმულია საოკუპაციო ზოლზე, არ ეთანხმებიან თავად დაზარალებულები.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მოუწოდებენ ხელისუფლებას და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე იყოს დაცული.

თავის მხრივ, სუს-ში განმარტავენ, რომ ინფორმაცია უკვე მიწოდებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის, რომელთა დამკვირვებლები ადგილზე უკვე იმყოფებოდნენ. მათივე ცნობით, ცენტრალური ხელისუფლება ინფორმაციას მიაწოდებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ.

თამარ ზანთარაია

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ვადაგაგრძელებული საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	3543	53.08.42.270	1400	420	70	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე“–ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“–ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 04 მაისიდან 2017 წლის 02 ივნისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 02 ივნისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტებისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში,ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

მოსალოდნელი ტერაქტები ევროპაში

ამერიკის სახელმწოფო დეპარტამენტი ევროპაში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ იტყობინება. ტილერსონის უწყებამ ამერიკის მოქალაქეებს ევროპაში მგზავრობის შემთხვევაში განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდა. სახელმწიფო დეპარტამენტმა თანამოქალაქეებს საფრანგეთში, რუსეთში, შვედეთსა და ბრიტანეთში მომხდარი თავდასხმები შეახსენა და აღნიშნა, რომ „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ ქაიდას“ ევროპაში ტერაქტების მოწყობა ისევ შეუძლიათ. ისლამისტთა სამიზნე შესაძლოა, აეროპორტები, სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები, რესტორნები, კლუბები და ტაძრები გახდეს

პარიზში აქციულობისას 6 პოლიციელი დაშავდა

პარიზში შეტაკებების შედეგად დაშავებულ პოლიციელთა რიცხვი 6-მდე გაიზარდა. ამის შესახებ საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება. უწყების ინფორმაციით, ორმა სამართალდამცველმა სხეულის უმძიმესი ტრავმები მიიღო. პროფკავშირების მიერ ორგანიზებული საპირველმაისო აქცია პარიზში პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა. დემონსტრანტებმა სამართალდამცველებს ქვები და „მოლოტოვის კოქტეილები“ დაუშინეს, პოლიციელებმა კი მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

ტოკიო მწეველთა რაოდენობით ლიდერობს

ტიკიო შესაძლოა, ოლიმპიურ დედაქალაქებს შორის ყველაზე მწეველი ქალაქი აღმოჩნდეს. იაპონიაში კანონი მოწევასთან დაკავშირებით უკვე გამკაცრებულია. მწეველთა რაოდენობამ ბოლო წლებში 18%-მდე იკლო, თუმცა იაპონია მოწევასთან მებრძოლი ქვეყნების რეიტინგში ბოლო ადგილს იკავებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ტოკიოს კანონის კიდევ უფრო გამკაცრებას ურჩევს. 2020 წელს იაპონიის დედაქალაქმა ოლიმპიურ თამაშებს უნდა უმასპინძლოს.

ოდესის ტრაგედიიდან 3 წელი გავიდა

ოდესაში ტრაგიკულ თარიღს აღნიშნავენ. ზუსტად 3 წლის წინათ პროფკავშირების სახლში გაჩენილ ხანძარს 48 ადამიანი ემსხვერპლა, 200-მდე კი დაშავდა. დაღუპულთა ოჯახის წევრები შენობის დაწვაში ნაციონალისტებს ადანაშაულებენ და ობიექტური გამოძიების ჩატარებას ითხოვენ. ტრაგედიის მე-3 წლისთავზე ოდესაში უსაფრთხოების მაქსიმალური ზომებია მიღებული.

ამერიკული ბომბდამშენები კორეის საჰაერო სივრცეში

ფხენიანი კორეის ნახევარკუნძულზე ამერიკული ავიაგამანადგურებლების გამოჩენით შეშფოთებულია. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება მომხდარს სამხედრო პროვოკაციად აფასებს, რამაც შესაძლოა, ბირთვული ომის პროვოცირება მოახდინოს. ამერიკული ბომბდამშენების მანევრირებაზე ოფიციალურ განცხადებას აკეთებს სამხრეთ კორეაც. სეულის განმარტებით, ავიაგამანადგურებლები ერთობლივ წვრთნებში იღებდნენ მონაწილეობას.

ტრამპი კიმ ჩენ ინთან შეხვედრას არ გამორიცხავს

დონალდ ტრამპი ფხენიანის ლიდერთან შეხვედრის წინააღმდეგი არ არის. თეთრი სახლის ლიდერის თქმით, თუ შესაფერისი ვითარება იქნება, ის კიმ ჩენ ინს აუცილებლად შეხვდება. „ჩემთვის ამის გაკეთება დიდი პატივი იქნება. ამას, ალბათ, არცერთი პოლიტიკოსი არ იტყოდა. მე კი ვამბობ, რომ თუ შესაბამისი ვითარება იქნება, შეხვედრაზე უარს არ ვიტყვი“, — აღნიშნა ტრამპმა.

◎ მოფერება თელავურად

არ შედრკე, არ ჩაიმუხლო!



ოთარ, ძმაო და მეგობარო ჩემო, ამ საიუბილეო მოკითხვის ბარათს აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში გიწერ, ადამიანური ბრწყინვალება არ გაკლია, შევთხოვ უფალს შენს მზეგრძელობასა და ჯანსაღად ყოფნას! ყველა გიცოცხლოს, ვინც ამ სამზეოზე გეგულება! მათი კარგად ყოფნით გაიხარე!

ნათელი დაადგეს შენი დიდებული დედ-მამისა და შენი ძვირფასი მეუღლის, ქალბატონი ვენერას სპეტაკ სულებს!

ძმაო ოთარ, ყმაწვილკაცობაშივე გიქებდნენ ოჯახიშვილობას, მართლაც, სანაქებო მშობლები გყავდა. ხუციშვილების ოჯახში სტუმრობა გვიყვარდა, გვიხაროდა. იქ პატიოსანი შრომის პატივისმცემელი ადამიანები გვეგულებოდნენ. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო დედაშენის, ქალბატონი ნინოს ტკბილი ქართული. როცა მას ვუსმენდი, გოგლა ლეონიძის დეიდა მაიკო მახსენდებოდა „ნატვრის ხიდან“. თქვენს სტუმართმოყვარე ოჯახში მარნის კარი სულ ჭრიალებდა, სტუმარი შენს მშობლებს ღვთის წყალობად მიაჩნდათ.

შენს მშობლიურ სოფელში, რუისპირში ბავშვობიდანვე ეზიარე ბუნების მშვენიერებასა და სილამაზეს, აქვე შეიტკბე და შეისისხლხორცე შენი წყალჭალის ხმები.

ძმაო ოთარ, შენი დაბადების 85 წლისთავის საიუბილეო თარიღი ჩვენმა საერთო მეგობარმა, შენსავით კალამმოუღლელმა ჟურნალისტმა და მთარგმნელმა ზურაბ ლომიძემ მახარა, თან იქვე მოაყოლა, ოთარ ხუციშვილმა კიდევ ერთი საინტერესო წიგნი გამოსცა, ასევე საინტერესო სათაურით – „ცხოვრება ღიმილით“.

ჩვენ მაშინ ბევრი ვისაუბრეთ შენს პიროვნულ ხიბლზე, ჟურნალისტურ და ლიტერატურულ სამწერლო წარმატებებზე. ბოლოს დასძინა: მისი საძმო შევიკრიბეთ, მივდივართ, სახელიანი იუბილე უნდა მივუღოცოთ, დღეგრძელობა და კარგად ყოფნა უნდა ვუსურვოთო, დამპირდა, შენს კეთილ სურვილებს ყველას სრულად გადავცემ, ერთ სიტყვასაც არ გამოვაკლებო. შენსავით ალალი კაცია ჩვენი ზურა, უფალმა ორივენი უვნებლად გამყოფოთ.

შენს შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან უფრო მეტი შევიტყე, „რესპუბლიკელებს“ მხოლოდ კარგი გაზეთის კეთება კი არა, ღირსეული ადამიანის, კოლეგისა და თანამოაზრის ღირსეულად დაფასებაც სცოდნიათ. ბარაქალა მათ ვაჟკაცობას!

ძმაო ოთარ, მაღალი და მაღლით მხედი კაცი ხარ. ვიცი, ორლესული კალამი არასოდეს დაგიჩლუნგდება, უკეთურებსა და ქვეყნის მოღალატეებზე პირდაპირ ბრძოლით მიდიხარ, ხმალ-ხმალ ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიხარ. გამარჯვება და კარგად ყოფნა ნუ მოგიშალოს მამაზეციერმა!

ოთარ ძმაო. შენ ხომ თელავში აიდგი ფეხი, როგორც საზოგადო მოღვაწემ და ნიჭიერმა ჟურნალისტმა. აქ დაიმკვიდრე ნამდვილი ქართველი ვაჟკაცის სახელი, შენი ადგილის დედა პატარა კახის სატახტო ქალაქი თელავია. ახლა აქ ფრთაგაშლილი გაზაფხული ფრიალებს, მწვანე ჯეჯილზე მზეკაბანი დავლურს უვლის, ფრთებგაშლილი მინდვრები სათის ხალიანი ყაყაჩოებითაა აბდღვრიალებული, ბროლა ნიავი ქუჩაქუჩა ალუბლებს სულ თეთრად პენტავს, ჰაერი გაზაფხულის სხივმფინარი ეფემერების სურნელითაა გაჯერებული. ყველგან ღვთის თვალი ტრიალებს.

შენი ადგილის დედა, შენი სამეგობრო გეძახის, ჩამოდი, მზიანი შემოდგომა უნდა მოგილოცოთ, კაცურკაცობის ღირსებით შეჭედილი 85 წლისთავი.

85 წელი... აუ, რამოდენა დრო გასულა!

არ შედრკე, არ ჩაიმუხლო, ქვეყანას შენისთანა კაცები სჭირდება!

აქაურმა სამეგობრომ თელაველ ინტელექტუალთა საკრებულოს საპატიო წევრად აგირჩიათ.

გილოცავ! გაიხარე!

შენი სიყრმის მეგობარი,
თელავის ინტელექტუალთა
საკრებულოს სახელით
ლამარა იანვარაშვილი

დანართი №1 (3 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2017 წლის „02 მაისი“
№ 01/3/175 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა მ³	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზვარე.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	29 938	5210,00	4200,00
2	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზვარე.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	29 838	5190,00	4200,00
3	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზვარე.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-III	P	30 022	5222,00	4200,00
4	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზვარე.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-IV	P	21 442	3730,00	3200,00
5	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზვარე.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-V	P	21916	3812,00	3200,00
6	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზვარე.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-VI	P	21 772	3787,00	3200,00

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 04 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 ივნისს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 05 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 ივნისს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 23 ივნისს, 14 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება მდ. ნაკრაზე სამ საფეხურიანი კასკადური ტიპის ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ნაკრაზე ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე (წყალსაცავის გარეშე) ნაკრა 1 ჰესის (სიმძლავრით 6,13 მგვტ) ნაკრა 2 ჰესის (4,50 მგვტ.) და ნაკრა 3 ჰესის (11,20 მგვტ) მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში და შპს „ეკოჰიდრო“-ს ოფისში (მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა).

დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნების მიწოდება შეგიძლიათ შემდეგი პირებისთვის: დავით კობერიძე, ტელ.: (995 (591) 41-00-00, პაატა ჭანკოტაძე, ტელ.: (995 (599) 18-17-53. E-mail: paatachank@yahoo.com ;

შენიშვნების წარმოდგენის ვადაა მოცემული განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „ეკოჰიდრო“-ს ადმინისტრაცია

◎ მშვილდოსნობა

ქართველმა ჩუბინებმა გრან პრი მოიგეს

პოლონურ ლეგნიცაში დამთავრდა მშვილდოსანთა ევროპის დიდ პრიზის გათამაშება, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ჩუბინებმა: ქალთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი პირადში და ევროპის ვერცხლისმედალოსანი გუნდურში, თბილისელი ქრისტინე ესებუა, გუნდურში ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი, საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის ხელვაჩაურელი პრეზიდენტი ხათუნა ნარიმანიძე და ბათუმელი დებიუტანტი ნანა მახარაძე. საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგებით ნარიმანიძის ნაცვლად მის შვილს – ციკო ფუტკარაძეს უნდა ესროლა, რადგან მას ჩვენებს შორის მეორე შედეგი ჰქონდა, ნარიმანიძე კი მეოთხე იყო, მაგრამ მწვრთნელმა თამაზ ფუტკარაძემ ცვლილება საჭიროდ მიიჩნია და მართალიც გამოდგა.

ქართველმა მშვილდოსნებმა პირველ წრეში ჰოლანდიას მოუგეს – 5:3, შემდეგ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ იტალიის გადახალისებული გუნდი (ოლიმპიადის შემდეგ დიდ სპორტს გამოეთხოვა იტალიელთა ლიდერი – პირად-გუნდურში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ნატალია ვალეევა) დაამარცხეს – 6:2 და ფინალში გავიდნენ, სადაც რუსებს დაუპირისპირდნენ. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებსაც გადახალისებული გუნდი ჰყავდათ, რომელსაც ქართველებმა წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურეს – მშრალი ანგარიშით დაჯაბნეს – 6:0 (50:44; 45:41; 44:39). ბრინჯაოს მედალი იტალიამ მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ესტონეთს აჯობა – 6:0.

პოლონეთში ჩვენები ორ ბრინჯაოს მედალთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ შერეულ წყვილებში ესებუა და ზურაბ მესტვირიშვილი სლოვაკურ დუეტთან ვერას გახდნენ – 2:6, ხოლო ვაჟთა ნაკრებმა ბრინჯაოს ჯილდო იტალიასთან პაექრობაში დათმო – 0:6. ფინალში უკრაინელებმა რუსებს 5:4 მოუგეს.

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

ჭაბუკთა 7 მედალი თურქეთიდან

2 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და 3 ვერცხლის მედალი მოიპოვა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებმა თურქეთის ქალაქ იზმირში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე – „Victory Cup“. შეჯიბრებაში 15 ქვეყნის 400 სპორტსმენი მონაწილეობდა. ჩვენებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს.

პირად პირველობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გიორგი ჩხიკვაძე (54 კგ) და ხვიჩა ანანიძე (58 კგ) ავიდნენ. ფინალში ჩხიკვაძემ მასპინძელი კადირ კამალი (2:1), ხოლო ანანიძემ – მუსტაფა ილდირიმი (9:1) დაამარცხა. გურამ აბრამიშვილმა (46 კგ), ბექა ბეშიძემ (63 კგ) და ლუკა ხუციშვილმა (85 კგ) მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, ბექა გურული (58 კგ) და გოგა პერტახია (63 კგ) კი მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გივი გაგუა

◎ ვითარება

ტაიმაზოვი „ოქროს“ ვერ ელევა

თავისუფალი სტილით მოჭიდავე არტურ ტაიმაზოვმა (უზბეკეთი), რომელსაც დოპინგ-სინჯების განმეორებითი შემოწმების შედეგების გათვალისწინებით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2008 წელს პეკინში მოპოვებული ოლიმპიური ოქროს მედალი ჩამოართვა, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) სააპელაციო საჩივრით მიმართა.

ეს ინფორმაცია თავად საარბიტრაჟო სასამართლომ გაავრცელა. CAS-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ უზბეკმა მოჭიდავემ არტურ ტაიმაზოვმა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა აპელაციით და გაასაჩივრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე აღებული სინჯების ხელმეორე ანალიზისას აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატების (ტურინაბოლი და სტანოზოლოლი) გამო მას ჩამოერთვა მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში 2008 წელს პეკინში მოხვეჭილი ოქროს მედალი.

გარდა პეკინისა, არტურ ტაიმაზოვს ოქროს მედალი დამსახურებული აქვს ათენისა (2004) და ლონდონის (2012) ოლიმპიურ თამაშებზეც. ლონდონში მან ფინალში ქართველი მძიმეწონოსანი დავით მოძმანაშვილი დაამარცხა. 2012 წლის დოპინგ-ტესტებთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

კობა კობახიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

გამარჯვებას გემო გაუსინჯეს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა უეფას განვითარების თასი მოიგო! იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი ბელარუსის დედაქალაქში გაიმართა.

გიორგი ნემსაძის გაწვრთნილმა გუნდმა მინსკში სამივე შეხვედრა ფრედ დაასრულა, თუმცა, სამივე თამაშის შემდეგ მოიგო პენალტების სერია მოლდოველ, მასპინძელ და ლატვიელ თანატოლებთან და მთავარი პრიზი დაისაკუთრა.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში იმ ფეხბურთელებმა იასპარეზეს, რომლებსაც შემოდგომაზე ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოსვლა მოუწევთ:

ლუკა ხარშილაძე, მამუკა ბახტაძე, ზურაბ ბაქრაძე, ცოტნე კაპანაძე, ივა გელაშვილი, თორნიკე ჯანგიძე, გიორგი აბზიანიძე, ირაკლი აზაროვი, ცოტნე ჩოთალიშვილი, ანრი მექვაბიშვილი, გიორგი იაკობიძე, ვახტანგ ჩარკვიანი, გიორგი მოისწრაფიშვილი, ხვიჩა კვარაცხელია, ზურა დავითაშვილი, ელგუჯა ჯანგველაძე, გიორგი გულიაშვილი, საბა ჯინჭარაძე, გიორგი შალიკაშვილი, შაკო ოგბაიძე, საბა კიკნაძე.

მბაპე: „მინდა, ბუფონს გავუტანო“

„მონაკოს“ ახალგაზრდა შემტევმა კილიან მბაპემ „იუვენტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი ნახევარფინალური შეხვედრის წინ მომავალ დაპირისპირებაზე ისაუბრა.

„ჩვენ ვთამაშობთ 4-4-2 ტაქტიკით. ფალკაო ცენტრიდან უტევს, მე ფლანგებზე გადავდივარ. მინდა მოედანზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება მქონდეს და ძალიან მიხარია, რომ მწვრთნელისგან მოედანზე სრული თავისუფლება მაქვს. გუნდში ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს და ყველანი განსხვავებულები არიან. ჩვენ თასის მოგება გვინდა და ინდივიდუალურად არ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები, უნდა ვიყოთ, როგორც ერთი მთლიანი გუნდი. „იუვენტუსი“ დიდი კლუბია, მას თავისი დიდი ისტორია აქვს. იტალიელებმა „ბარსელონა“ გამოაგდეს, რაც ყველაფერზე მეტყველებს. ბუფონი ის მეკარეა, რომელმაც ფეხბურთის ისტორიაში თავისი კვალი დატოვა. მიხარია, რომ მის წინააღმდეგ თამაში მომიწევს და იმედია, გოლსაც გავუტან“, – განაცხადა მბაპემ.

ზლატანი 8-9 თვეს იუქმებს



ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ შვედმა შემტევმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დაზიანებულ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. აღნიშნულ ინფორმაციას SKY Sport-ი ავრცელებს.

წყაროს ცნობით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ზლატანის სარეაბილიტაციო კურსი დაახლოებით 8-9 თვე გაგრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შვედი ფეხბურთელი მომდევნო სეზონის დასაწყისსაც გამოტოვებს.

მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე ერთად ზლატანის მონაგარი ასეთი გახლავთ: 28 თამაში, 17 გოლი და 5 საგოლე გადაცემა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

პოლ პირსმა კარიერა დაასრულა



პოლ პირსმა „იუტასთან“ (91:104) წაგების შემდეგ კარიერა დაასრულა. მან ნბა-ში 19 სეზონი ჩაატარა. 1998-2013 წლებში „ბოსტონის“ ღირსებას იცავდა, სადაც 2008 წელს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა, ერთი წელი „ბრუკლინში“ ასპარეზობდა, 2014-15 წლებში „ვაშინგტონში“ თამაშობდა, 2015 წლიდან კი „კლიპერსის“ ღირსებას იცავდა.

პირსი „ოლ სტარის“ 10-გზის მონაწილეა და 2008 წლის ფინალების საუკეთესო მოთამაშე გახდა. ნბა-ს რეგულარულ სეზონებში პოლს 26 397 ქულა აქვს ჩაგდებული, რაც ისტორიაში მე-15 მაჩვენებელია, ხოლო პლეი-ოფში 3174 ქულა აქვს მოგროვებული, რაც მეოცე შედეგია.

ვიტალი ჯაფარიძე

ვინ არის ვინ?

შთამომავლობამ უნდა იცოდეს!

შარშან ამ დროს აღესრულა ერთი ძალიან საინტერესო, ღირსეული, ამაგდარი კაცი. მაშინ გამოვაქვეყნე რამდენიმე ფრაგმენტი და მინდა, რომ ჩემს მეგობრებს შევახსენო ეს მოგონება, რამეთუ ეს პიროვნება, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თავისი მშობლიური ქალაქისთვის, ნამდვილად იმსახურებს მადლიერებით გამსჭვალულ გახსენებას.

* * *

...დღეს თბილისში დაკრძალავენ თენგიზ მენთეშაშვილს, რომელიც 88 წლისა გარდაიცვალა მოსკოვში.

ბოლო თანამდებობა, რომელიც მას ეკავა, ერთობ მაღალი და პასუხსაგები იყო: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი. ამ პოსტზე იგი დაინიშნა 1982 წელს, როცა მოულოდნელად გარდაიცვალა მისი წინამორბედი მიხეილ გიორგაძე.

მანამდე თენგიზ მენთეშაშვილი საქართველოს კომკავშირის მეორე მდივანი გახლდათ, როცა პირველი მდივანი იყო ედუარდ შევარდნაძე, თავკაცობდა რუსთავს, ეკავა მაღალი თანამდებობები პარტიულ იერარქიაში, ბოლოს კი, მოსკოვში გადასვლამდე, კარგა ხანს, იყო კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი, ანუ, რეალურად, მაშინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით, ის იყო დედაქალაქის პირველი პირი.

თანამდებობრივად და შევარდნაძესთან თანამებრძოლის დიდი სტაჟის, ამასთან, უახლოესი მეგობრული ურთიერთობის გამო, ის გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჩინოსანი საქართველოში. ამას ემატებოდა ადამიანური თვისებების — კეთილშობილების, პრინციპულობის და პატიოსნების ნაზავი და თბილისის საქალაქო პრობლემების ღრმა ცოდნა. აქედან გამომდინარე, მისი ავტორიტეტი დიდი იყო და ის გულწრფელად უყვარდა აქტივს.

ხაზგასმულად უნდა ითქვას, რომ ძირძველი თბილისური ოჯახის შვილი, გრიგოლ კობახიძის 77-ე სკოლის ცნობილი დირექტორის გაზრდილი ავლაბრელი ყმაწვილი, რა თქმა უნდა, შეყვარებული იყო თბილისზე და მშობლიური ქალაქისთვის ბევრი რამ გააკეთა. მის სახელთან არის დაკავშირებული ძველი უბნების აღდგენა-რესტავრაციის პროცესის დაწყება, რიყის, ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია, მეტეხის კლდის გვირაბის მშენებლობა, დიდი დიღმის, გლდანის, ვაზისუბნის მიკრორაიონების განაშენებიანების პროცესის დაჩქარება, რომლის შედეგიც იყო ბევრი თბილისური ოჯახის საბინაო პრობლემის გადაწყვეტა... მის დროს დაიწყო „თბილისობის“ დღესასწაულის და „საპატიო თბილისელის“ წოდების მინიჭების პრაქტიკა...

ერთი სიტყვით, თენგიზ მენთეშაშვილი ერთობ დადებითი აურის მატარებელი პიროვნება გახლდათ და გულწრფელი სინანული, რომელიც მის გარდაცვალებას მოჰყვა, აბსოლუტურად დამსახურებული და ალალია.

ბუნებრივია, ჩემი იმდროინდელი თანამდებობრივი სტატუსის გამო მიწევდა მასთან სისტემატური კონტაქტი. არ იყო ეს ურთიერთობა მარტივი. არ გახლდით მისი ფავორიტი, თანაც, მაშინდელ ტელევიზიას და რადიოს ერთობ აქტიური პოზიცია ეკავა დამნაშავეობასთან, კორუფციასთან, უზნეობასთან და სხვა ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, და, ბუნებრივია, კრიტიკული პათოსი თბილისის რეალობასაც წვდებოდა და ქალაქის პირველი პირი ამ ჩვენს კრიტიკულ გადაცემებს დიდი აღტაცებით არ ხვდებოდა. და მიუხედავად იმისა, რომ მას და მის გუნდს გულზე დიდად არ ვეხატებოდი, თავად მენთეშაშვილი კორექტულობის ჩარჩოებიდან არასოდეს გამოსულა. პირიქით, მისი „ქვეშევრდომებიდან“ ზოგიერთები კი „მკბენდნენ“, მაგრამ, ჩვენს კრიტიკულ გადაცემებზე საქალაქო თუ რაიონული სტრუქტურების თავკაცები „სმენაზე“ იდგნენ, მათგან კრიტიკაზე რეაგირება 100-პროცენტიანი გახლდათ და ამ მხრივ, მთელი საბჭოთა ქვეყნის მასშტაბით, საქმე „სატრაბახოდაც“ კი გვქონდა.

ტელერადიოს 3-ათასიანი კოლექტივი ერთ-ერთი დიდი, მრავალრიცხოვანი სტრუქტურა იყო და მისი ყოფითი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება ხშირად ითხოვდა დედაქალაქის ხელმძღვანელობის ყურადღებას და ხელშეწყობას. თენგიზ ბატონი გაგებით ეკიდებოდა ამ პრობლემებს, ხშირად „მეჯიჯღინებოდა“ — ბევრს ითხოვო, მაგრამ, საბოლოოდ... მაინც ჩვენს სასარგებლოდ წყვეტდა საჭირბოროტო პრობლემატიკას.

და დღეს, როცა მთავრდება მისი ამქვეყნიური ცხოვრება, ობიექტურობას არ ვუღალატებ და მადლიერებით გავიხსენებ ორ ფაქტს (მრავალთაგან), რომელიც მეტ-ნაკლებად ხსნის ჩემი ასეთი თბილი გახსენების სურვილს და ამ ნაღდი სახელმწიფო მოღვაწის, ჭეშმარიტი პატრიოტის და, უბრალოდ, ნამეტნავად კარგი კაცის ბუნებას.

ამ ფაქტთან ერთი, ე.წ. „პირადული“ ხასიათისაა და გოდერძი ჩოხელთან არის მეტ-ნაკლებად დაკავშირებული.

გოდერძი ჩოხელს მაინცდამაინც არ მოსწონდა (და არც მალავდა ამ დამოკიდებულებას) ბატონი თენგიზი, რომელმაც ერთხელ, მისი ფილმის დახურული ჩვენებისას კრიტიკულად შეაფასა გოდერძის „ნაოფლარი“. თენგიზმაც საიდღანაც გაიგო ეს და ერთი-ორჯერ მის გამო მეც „წამებინა“. დამიდგა ის დღე, როცა გადასაწყვეტი მქონდა ტელერადიოს „სიძის“ გოდერძი ჩოხელის ბინის საკითხი.

იმ დროს უმკაცრესი კონტროლი იყო დაწესებული ბინების განაწილებაზე და რიგითობის სტაჟით ბინის გაცემის დადგენილი წესის დამრღვევი სასტიკად ისჯებოდა. ამიტომ, დარღვევას ვერავინ ბედავდა. აბა, გოდერძის და „პატარძალს“ ნინო მელაშვილს — „მოამბის“ ჟურნალისტს საბინაო აღრიცხვის რა სტაჟი უნდა ჰქონოდათ?! ჰოდა, გინდა-არგინდა დადგენილი წესი „უნდა“ დარღვეულიყო. ერთადერთი არგუმენტით: პირველი ის, რომ ქირით მცხოვრები, თეატრალური ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებული უნიჭიერესი მთიელი ბიჭი ხელშეწყობას იმსახურებდა (და ეს ორჯერ ორი გახლდათ ჩემთვის). და მეორე: პირადულიც „მავალდებულებდა“, რამეთუ ჩემმა უმცროსმა მეგობარმა გოდერძის მეჯვარეობა მთხოვა და... „ხელცარიელი“ ხომ ვერ მივიდოდი ამ ცერემონიაზე...

ჰოდა, ამ სერიოზული თუ ნახევრად „სახუმარო“ არგუმენტებით შეიარაღებული წავედი (მერამდენედ!!!) ედუარდ შევარდნაძესთან, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, უბრალოდ, შეყვარებული იყო გოდერძის ფილმზე და მის პროზაზე. მომისმინა, გამიგო და... ამ დარღვევაზე მენთეშაშვილის გარდა არავინ წავაო და დაურეკა... უნდა გენახათ, რა ოსტატურად „ჩაახუჭუჭა“ შევარდნაძემ, გაიხსენა ჩოხელის ფილმთან დაკავშირებული მისი კრიტიკული პათოსი, ცაში აიყვანა გოდერძი, ცოტა მეც „ჩამიშვა“ და თენგიზს კი არ „დაავალა“, არამედ „სთხოვა“ (!), მხარი დაეჭირა... ეს საუბარი ჩემთვის მართლაც მასტერკლასი იყო... ამის შემდეგ, უკვე უფრო გაბედულად „გადავირბინე“ ცეკას შენობიდან მეზობლად მდგომ თენგიზის რეზიდენციაში... გაიხსენა რა გოდერძის ფილმთან დაკავშირებული „შეხლა-შემოხლა“, რა თქმა უნდა, მოვისმინე მისი „ჯიჯღინი“ და... გავხდი მოწმე სახელმწიფო და პიროვნული აზროვნება-მოქმედების მორიგი მასტერკლასისა: ტალანტის მხარდაჭერისთვის როგორ დავარღვიოთ კანონი ისე, რომ... არ დავარღვიოთ.

ვთავაზობ გამოსავალს, რომელმაც ერთხელ უკვე იმუშავა ტელევიზიის თანამშრომლების — თამრიკო გვერდწითელის და კახა კახაბრიშვილის ქორწინებისას: მასესხოს ერთი ბინა, ვალს კი გავისტუმრებთ იმ „კვადრატულის“ რაოდენობიდან, რომელიც ყოველწლიურად გვეკუთვნის ტელერადიოკომიტეტის საბინაო შენატანების საფასურად. ერთი სიტყვით, საჩუქარს კი არა, უბრალოდ, წინსწრებას ვითხოვ და კეთილგანწყობას ქალაქის საბჭოსგან (მაშინდელი მერიისგან). თან პირობას ვიძლევი, რომ ვალს აუცილებლად გავისტუმრებთ. კეთილგანწყობა კი იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ნუ იქნება ეს ბინა ძალიან შორს, ახალ მასივებში... ისევ „ჯიჯღინი“ და წადი წერილი-თხოვნა მომიტანეო... მეც ასეთ ბოლოს ვეღლოდი და ღიმილით მივაწოდე უკვე „გაშანშალებული“ არზა... თავადაც გაეცინა და... მოვიფიქრებო!

მეორე დღეს ზარი: უკაცრავად, ვერა და ვაკე ვერ გაგიკეთეთ და ძველი დიღმით დაკმაყოფილდითო. გავვარდით. ვნახეთ და... ჩოხელების ოჯახი ახლაც იმ მშვენიერ ბინაში ცხოვრობს. და ბოლოს: როცა გოდერძისა და ნინოსთვის ბინის გამოყოფის დადგენილება მომივიდა, შიგ არ ეწერა, რომ ეს სესხად ეძლეოდა ტელერადიოკომიტეტს. არ მინდოდა, ეს „ეშმაკობაში“ ჩამთვლოდა და თენგიზს დავურეკე... ისევ თბილი „ჯიჯღინით“: არ ხარ შენ მაგ ვალის დამბრუნებელი და ჰქონდეს მაგ მართლა ნიჭიერ ბიჭს ეგ ბინა თბილისქალაქიდან საჩუქრადო...

ასეთი კაცი გახლდათ თენგიზ მენთეშაშვილი, ზოგიერთივით ბოღმიანი კი არა, მეტისმეტად გულიანი, სიკეთით და სითბოთი სავსე...

ნუგზარ ფოფხაძე

P.S. მისი პიროვნების დასახასიათებლად ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს დღევანდელი თბილისის (და არამარტო დედაქალაქის) მესვეურთათვის. მოსკოვიდან ჩამოსვენებული თენგიზ მენთეშაშვილის ცხედარი პირდაპირ ქაშუეთის ტაძარში დაასვენეს. და იქიდან გაუყენეს საბოლოო გზას. იმ კაცს, რომელმაც თბილისისთვის მართლაც რომ ბევრი გააკეთა, თავის მშობელ ქალაქში არ ჰქონდა... ბინა! აი, ამ ორიოდე დღის წინათ კორუფციის ფაქტზე დაკავებულ ერთ-ერთი რაიონის „გამოჭყლეტილ“ გამგებელს კი...

აი, მისგან და მისნაირებისგან განსხვავებით, თენგიზ მენთეშაშვილმა არ მისცა თავს უფლება, ჰქონოდა ორი(!!!) ბინა — მოსკოვსა და თბილისში!

ნ. ფ.

სანთელი

ზინა მჭედლური, ალეკო ასლანიშვილი, მარი წერეთელი, რეზო მესხიძე, გურამ თედორაძე გულისტკივილით თანაუგრძნობენ მეგობრებს — ნანა და ლია ამირანაშვილებს საყვარელი ძმის, კეთილშობილი ვაჟკაცისა და გულმხურვალე ქართველის, ყოფილი „ავღანელის“

გია ლუარსაბის ძე ამირანაშვილის

უდროო გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის 70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 1 მაისის №45 განკარგულებისა, 2017 წლის 23 მაისს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქ. 2, ოთახი №416) ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ 2,724 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.071), მდებარე: თბილისი, სანდრო ეულის ქ. №7.

მიწის ნაკვეთის საწყისი საუქციონო ფასი განისაზღვრა 1,430,000 (ერთი მილიონ ოთხას ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი საუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც უნდა ჩაირიცხოს საქართველოს ეროვნული ბანკის NGE88NB0450100117904101 ანგარიშზე, (ს/კ 203824148, ბანკის „SWIFT” კოდი: BNLGE22). მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება საუაქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი” შეადგენს 10 000 (ათი ათასი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და ,,ბე” არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მიწის ნაკვეთის მყიდველის სახელზე გადაფორმება მოხდება 20 დღის განმავლობაში. უძრავი ქონების გადაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს მყიდველი.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და მიწის ნაკვეთის სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ეროვნული ბანკის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსს ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია

ჩვენმა ძმობამ მათქმევინა

გივი ასანიძე — 60

ბატონო გივი, გილოცავ დაბადების დღეს

წინაპრების მოგონება მათბობს,
ჩემი ქვეყნის გამთელებას ვნატრობ,
ველოდები ამომავალ მნათობს,
უფალს ვევედრი, არ დამტოვოს მარტო...

მამულს აფენს მზე ოქროსფერ სხივებს,
ვაზის რქაზე ნაზი კვირტი ღვივის,
გიდღეგრძელებ შვილებს, შვილიშვილებს,
შენი სახე გაებადროს ღიმილს.

გეფერება დედა, გულით გლოცავს,
სილაჟვარდე შენთვის უნდა ამ ცის,
არ მეგობრობ ჯაობებში მცოცავს,
მეგობრებს კი ოქრო-ვერცხლზე არ ცვლი.

რასაც ვფიქრობ, არასოდეს ვმალავ,
ამივსეთ და მომაწოდეთ თასი,
დაბადების დღეს გისურვებ მრავალს,
იმზეგრძელე წელი ასჯერ ასი.

P.S.
არ შეგშლია, ისე გახდი სამოცის,
ვაჟკაცი ხარ, მწამს ვერავინ გამოგცვლის.

არ გეგონოთ ჩემი ლოცვა ფარსი,
კაცობა არ ისაზღვრება ფასით.

იუზა ჩაკვეტაძე

გავუფრთხილდეთ ჩვენს საერთო სახლს!

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის განცხადება

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2017 წლის 18 მარტს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც 151 დელეგატი იყო მოწვეული. ეს იყო ბოლო ათწლეულში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითი ყრილობა. კავშირის ახალ ხელმძღვანელობას კი დამსწრე დელეგატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ასეთი მაღალი ლეგიტიმაცია განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს კავშირის თანათავმჯდომარეებს, გამგეობას, პრეზიდიუმს... განწყობა ერთსულოვანია — ჩვენ გავამართლებთ ამ ნდობას.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ოფისთან (თბილისი, ი. ჭავჭავაძის 17ა) დაკავშირებული საკითხი. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ადგილსამყოფლის პრობლემა ყრილობაზე გამოკვეთა თანათავმჯდომარემ მარინე გიგინეიშვილმა, რომელმაც გამოხატა ჟურნალისტთა ერთსულოვანი მოთხოვნა — არასოდეს გაიყიდოს კავშირის ოფისი და თუკი ვინმეს, ოდესმე გაუჩნდება მსგავსი ქმედების სურვილი, მაშინვე კანონის მთელი სიმკაცრით აღიკვეთოს! ჟურნალისტები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ სახლს და ყველა ჟურნალისტისთვის ის გახდეს სასურველი ადგილი.

გავუფრთხილდეთ ჩვენს საერთო სახლს, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ხომ პირველი ჟურნალისტური გაერთიანებაა საქართველოში, რომლის ისტორია ათწლეულებს ითვლის. თითოეული ჟურნალისტისთვის საპატიოა, იყოს ამ დიდი, პროფესიული გაერთიანების წევრი, მისი ნაწილი, ჟურნალისტთა სახლის შენარჩუნება კი თითოეული ჩვენგანის ღირსების საქმეა!

ასეთი იყო ყრილობის სულისკვეთება.

ასეთია დღეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტთა სამართლიანი მოთხოვნა!

მარინე გიგინეიშვილი,
მარინე თეძთუშანიძე.

მარიამ ზედელაშვილი — სამცხე-ჯავახეთის მხარის ღირსეული მემატიანე

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, კავშირის გამგეობის წევრს, ამაგდარ ქალბატონს, თაობების აღმზრდელს, შესანიშნავ მეგობარს, უერთგულეს ადამიანს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის, „მესხეთის უნივერსიტეტის“ მთავარ რედაქტორს, ქალბატონ მარიამ (მარინა) ზედელაშვილს.

ჟურნალისტური მოღვაწეობა ახალგაზრდა, პერსპექტიულმა კალმოსანმა ათეული წლების წინ რუსთავის საქალაქო გაზეთში დაიწყო. შემდეგ საქართველოს რადიოში მუშაობდა. მან თავისი დიდი კვალი დაამჩნია რეგიონის ცხოვრებას ადიგენის რაიონული გაზეთის რედაქტორის თანამდებობაზე მუშაობისას. იყო სამხარეო გაზეთის რედაქტორი, ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე ლექციების კურსს კითხულობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქალბატონ მარინას პუბლიკაციები გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, ანალიტიკური აზროვნებით, უზადო ქართულით. ჩვენთვის, ჟურნალისტთა კავშირის თანათავმჯდომარეების, გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრებისთვის დიდი პატივია, ვიყოთ ასეთი ქალბატონის თანამოაზრე და მეგობარი.

შემოქმედებით წარმატებებს, ულევ ენერგიას და საყვარელი საქმის დიდხანს მსახურებას გისურვებთ ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ!

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თანათავმჯდომარეები, პრეზიდიუმი, გამგეობა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4411; ევრო - 2.6606;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1566;
100 რუბლი - 4.2885; თურქული ლირა - 0.6872;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4552;
1000 სომხური დრამი - 5.0368.

ამინდი 3 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12 დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +22
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +24
თბილისი: ღამე +16, დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge